

# აბენი



**საქართველოს  
მნიშვნელოვანი  
კულტურის  
გაზითი  
№2 (270)**

1-31 გარემო  
2019

ଓৰ্জু ১ লক্ষ

გამოღის  
თვეში ღრჯერ

## მაყვალა გონაშვილი-60



୩୧୯୮

არა მარტოდენ მამულის, ანდა  
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,  
საქართველოში ათგზის ძნელია,  
იყო პოეტი და იყო ქალი.  
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი  
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,  
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,  
ვიღაც ქარივით გაგაქილიკებს,  
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე  
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს  
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით  
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,  
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით  
აკვანს არნევდე, სად სხივი ჩადგა,  
ხოლო მეორით კემსავდე ძველი  
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.  
იყო ერთგული დედა და ცოლი,  
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,  
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,  
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.  
და სხვა კეკლუცი ქალების დარად,  
არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,  
არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან  
შენს დასახსნელად მოუხაროდეს,  
ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშონ,  
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,  
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი  
კაცის და მიწის მძიმე უღელში.  
არა მარტოდენ მამულის, ანდა,  
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,  
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,  
იყო პოეტი და იყო ქალი.

მოვალეობულ წრეში

გათითოკაცდა სამყარო,  
ცის ნაცვლად ვუმზერთ ეკრანს  
და მაღვიძარა საათი  
რეკავს, ამაოდ რეკავს.

ეს რა ძილუში შეგვყრია,  
ვეღარ ვფხიზლდებით, ვერა,  
ძილ-ბურანიდან დამფრთხალებს  
საით გაგვექცა მზერა?

სასახლის კართან მისულებს  
შეგვაგებებენ ხარხარს,  
თუკი ვიძალისძალავეთ,  
გადმოგვიგდებენ სახრავს.

მეც ასე ხელებგაშლილი  
თურმე სატანას ვეძმე,  
ხან მაძლარ მამებს ვაპურებ,  
ხან უძლებ შვილებს ვეძებ.

მეც შვილი ვარ და მშობელი,  
მეც დამინახეთ, გვერდით,  
ვარ წუთისოფლის წიგნიდან  
ამოხეული გვერდი.

არ მინდა მე სხვა სამშობლო,  
მე სხვა სამოთხე არ მსურს,  
ვზიგარ დაბზარულ კედლებთან,  
ანმყოს ვაწებებ წარსულს.

ნუ დამივიწყებ, უფალო,  
ნუ მომარიდებ სახეს,  
მიფრიალებენ მავანნი  
დალით მოხვეჭილ სახეობ.

„რავენისა“ კოშკთან დაქანცულს  
მღვრიე ფიქრები შემშლის,  
სანამდის უნდა ვიარო  
მოჯადოებულ წრეში?

ორჯინების სახელმწიფო

ნეტა, ვისი ხელი გმართავთ  
ხისთავიან კაცუნებს,  
ხმა უცხოა, რიხით უნდო,  
თქვენ ტუჩებს აცმაცუნებთ.  
ვერას ხედავთ, ვერვის ამჩნევთ,  
ასე ვინ გაგიმეტათ?  
და კვლავ ვრჩები გათოშილი  
ბეღურების იმედად.  
ვინ გიწოდათ ოჯანები  
შუშისთვალა მაცილებს?  
თუ ხისა ხართ, როგორ აფრქვევთ  
სიძულვილის ბაცილებს?  
როცა წამით ხის კაცები  
ხის ტახტებზე ისვინებთ,

რომელ ხისგან გამოგთალეს  
ნეტა, თუ გაიხსენებთ?  
რომელ ტანჯულ მინას შერჩა  
თქვენი ძელქვა ფესვები?  
თუ წამომცდა, ვაი, დედა,  
ზიზღით შემომესვით.  
ან რა ერქვა იმ ფაბრიკას  
თქვენ რომ ასე გაგთალათ?  
ზოგი მუნჯი, ზოგი გონჯი,  
ზოგი კიდევ ცალთვალა.  
დამლა გადევთ უცხოური  
ქართულ ხისგან გათლილებს,  
ხე ჩემია, ჩემი მინის,  
მე ეს მინა მატირებს.  
ნეტავი თქვენ, კაცუნებო,  
თქვენს ფუჭ ფუსფუსს შევნატ  
თოვინების სახელმწიფო.  
სახელმწიფო ოეატრი.

ପ୍ରକାଶକ

თუმც არ მასვენებს ბედი — მდევარი,  
მაინც სიმშვიდის ვეძებ სამანებს.  
მე შენი დიდი სიყვარულისთვის  
ალბათ, ლექსებსაც დავასამარებ.  
ისე მიყვარხარ, რომ ვიტანჯები,  
სავსე ვარ შენით და ბედნიერი,  
შენით ნათდება აღმოსავლეთი,  
შენით ბაცდება დასალიერი.  
ათასწლეულთა იქითაც, ალბათ,  
ერთურთს ეძებდნენ ჩვენი სულები,  
უერთმანეთოდ ამ ქვეყანაზე  
მარტოსულები, დაკარგულები.  
მე მიყვარს შენი სული მდელვარე,  
სავსე მთოვარის იდუმალებით.  
შენში წვიმს ჩემი თეთრი სიზმრები,  
ჩემში წუხს შენი შლეგი ქარები.  
მე რომ ვიცოდე, გზა გაქვს ტკივილის  
ტკივილის გზაზეც არ შეგელევი,  
გამაუკვდავე, განმამეორე,  
შენი სისხლით და შენი გენებით.  
თუმც თავს ვიმკობდი ლექსის მძივები  
მე უკვდავება შენით ვინამე.  
ღმერთო, გვაშორე თვალი მოშურნე,  
ერთად გვამყოფი (კაშიკ, მინაზე).

06, 3063 გვერდი

ଅର ଉନ୍ନେରିାତ ଦାମଶ୍ଵିଦେବା ଶେଷଲୀଲ  
କ୍ଷାଲାକ୍ଷେବୁ  
ଅରତ୍ତ ଶେଷଫ୍ରାନ୍ତେବୁଲ ପୋଲିତ୍ରୀକୋସେବୁ,  
ଅରହିବ୍ରନ୍ଦେବୀଙ୍କ ନିନ ବ୍ୟାଲ୍କଥୀ ମଥ୍ରଜୁନ୍ଦେଲେବୁ  
ମଶ୍ଵିଦ୍ରବୀଳିସାତଗ୍ରୀଳ ଦାନ୍ଧ୍ୟେବୁଲ ମେଧେବୁ,  
ସବ୍ରାତା ମେଧେବୁ ଦାଲ୍ଲୁପୁଲ ଗମିର୍ଜେବୁ,  
ଅର ଉନ୍ନେରିାତ ଦାମଶ୍ଵିଦେବା ଦା ମର୍ବେନ୍ଦ୍ରେବୁ.  
ଅର ଉନ୍ନେରିାତ ଦାମଶ୍ଵିଦେବା ଦାପ୍ରଲୀଲ  
ସର୍ବତ୍ର୍ଯୁଦେବୁ ଦା  
ଦାମଶ୍ରାଲ ନ୍ୟାରନ୍ଦେବୁ, ଦାମଶ୍ରାଲ  
କ୍ରାମଲେବୁ  
ସିମିନ୍ଦରିସାହାନ ଜାମଶ୍ରାଲ ଧାନ୍ତାଗ୍ରେବୁ.

მათ ვისაც ომმა ჩამოუჭქნო ბავშვობის  
ია,  
მამებს, რომლებიც უმწეობით  
დაპატარავდნენ,  
დედებს, რომლებსაც რძე დაუშრათ,  
მენავანა შვილებს  
აწოვეს ბოლმა, უნანავეს „შერისძიება“!  
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება  
საშოვარზე გაქცეულ ქალებს  
ცოლის იმედად დარჩენილ კაცებს,  
კომპიუტერში დაკარგულ შვილებს,  
რწმენადაკარგულ თაობებს და უთაო  
ლიდერს  
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.  
ეს ვინ გამოჩენდა, ვინ ამაღლდა  
ზეცის თავანზე?  
ანგელოზია? სატანურია?  
ან იქნებ სულაც  
სხვა პლანეტის მოქალაქეა?  
ის არის, ვისაც შენ ელოდი,  
ის, ვინც შენ გსურდა,  
რადგან ცხოვრება იმას გვაძლევს,  
რასაც ვეძებდით,  
რადგან სამყარო ისეთია,  
როგორსაც ვხედავთ!

გაიცვითა სიპრენის ნიგნი

მადლი ვქენი, ქვაზე დავდე,  
ქვაც არ დამხვდა, რომ დავბრუნდი,  
ვნახე როგორ დაეჭირა  
აქლემის ქურდს ნემსის ქურდი,  
ხალხს მოძღვრავდა „არამკითხე“,  
„მეტის მეტი და თავს რეტი“,  
„დღე - მეხვალიე“ კაცებით  
სავსე იყო პარლამენტი.  
ნაბან წყალს ბაგშვასაც ატანდნენ,  
არ ზომავდნენ, ისე ჭრიდნენ,  
სიმართლის ხემ ვერ იხარა,  
დახერხეს და დაკიდეს.  
ალარ ეწვოდა ქურდს ქუდი,  
და მარხავდა ცოცხლებს მკვდარი,  
ათ კურდლელს ერთად იჭერდა  
ორი კურდლის მადევარი.  
გროშად ფასობდა ზრდილობა,  
ალარ ხტოდა კვიცი გვარზე,  
მწყერი ხეზე შემჯდარიყო  
და ბაყაყი - ხალიჩაზე.  
ამირან გულში მღეროდა,  
მთებმა უთხრეს მოძახილი,  
და ბეღელი სავსე იყო  
მხოლოდ ძარის მოგაწოლო.

გაცვეთილა, როგორც ძველი  
ქოში, კაბა, ანდა გზები,  
წინაპართა სიბრძნის წიგნი : -  
იგავ - არავ - ანთაზები ...



**საიუბილეო ექსპოზიციის მაყვალა  
გონიერების**

„საქართველოში ათგზის ძნელია,  
იყო პოეტი და იყო ქალი...“  
მ. გონიერები



შენ სიყვარულით ყველგან გელიან,  
ღია აქვთ შენთვის მათ გულის კარიც,  
საქართველოში თუმცა ძნელია,  
იყო პოეტი და იყო ქალი...“

იყო მეუღლე და იყო დედა, —  
უქსოვდე ქმარ-შვილს ნინდებს ფერადებს  
და თანაც ლექსებს — გულის ნაღვერდალს  
გასაღვებლად სულს უბერავდე...“

მწამს, პოეზიას — ლექსის ელვიანს  
შერჩება შენი ლექსების კვალიც,  
საქართველოში თუმცა ძნელია,  
იყო პოეტი და იყო ქალი...“

**ბალათერ არაბული**

**ჟანრის ვარაუდი**

მაყვალა გონიერების ლექსების პირველ  
კრებულს „ყაყაჩობის კოცნა“ ჰქვია და შეი-  
ძლება თამამად ითქვას, რომ ამ ფერისულმა  
კოცნამ ისეთი კოცნონი დაანთო, რომ მისი  
მსურვალება და სინატიფე დღემდე ლაიტ-  
მოტივად დაპყება პოეტის შემოქმედებას.  
თუ რამ ასიძეჭდა სულში ამ შევენიერმა პო-  
ეტმა, რომლის შემოქმედების გარეშეც უკვე  
ნარმოუდგენელია XX-XXI საუკუნეების  
გზაგასაყარის ქართული პოეზია, ის ჩაიძე-  
ჭდა, რომ მისთვის უპირველესი საფიცარი  
და საესავი მინის ის ბელტია, სამშობლო  
რომ ჰქვია სახელად, ოცნებებით უხედნავ  
ქარებს ადევნებული ქვეყანა, კაცობრიობის  
მადლსა და მირონს რომ ნარმადებენ — და  
კიდევ დედამინის მარილს, რომლის გარეშე  
ჰქვია და ელვარება მოაკლდებოდა ჩვენს  
ცისფერ, ულამაზეს პლანეტას.

მაყვალა გონიერები ხომ ათეული წლე-  
ბია, რაც ფეხშიშველი მიუყვება ეკლიან უც-  
ნიობ ბილიკებს და თან ათასი ჭორი და ტყუ-  
ილ-მართალი მიპყვება საპყარი მათხოვრის  
გუდასავით. არც კი ახსოვს, როდის და  
როგორ შეაჭრეს ფრთხი, როგორ დაუხ-  
შეს ზეცის კარები. დაბზარული ხორნაბუ-  
ჯივით სული კბილით უჭირავს და მაინც  
არ ტყდება, არ ნებდება წუთისოფლის  
მდინარებას, მზის სხივებით ქსოვს ჩალ-  
ისფერ დროშებს, კემსავს მეტაფორებით  
გაცვეთილ ფარდაგს, პავშვივით ეთამაშება  
საკვდილს კაცისა და მინის უდელში შებმუ-  
ლი და აქეთ გვებოდიშება, აქეთ გვთხოვს  
პატიებას, ნუ გამიწყებით, თუ მარტის  
სულელ ამინდებს ვევევარო.

მაყვალა გონიერების სამოქალაქო პოე-  
ზია შემშილით გასავათებული, ფიქრით გა-  
მოფიტული თანამოძმების გამოსარჩევ-  
ბაა, რომელთაც სამშობლო ერთ დიდ ფსიქი-  
ატრიულ კლინიკად გადაქცევით და ალარ  
იციან ზეცის მოყოლებებით, რომელ ერთ  
სატეატროს, რომელ ერთ პრობლემას უს-  
ამველონ. თანამედროვე დემოკრატია ხომ  
ნებადართულ სიძულვილად ქცეულა ყოვე-  
ლივე იმისა, რამაც აქამომდე მოგვიყვანა.

მხარზე ჰყავს შესმული ფუჭი იცნების  
და ტყივილების ვეუანა ძერა, გადახსნილი  
აქვს ყველა იარა და უფალს შესთხოვს, პა-  
ტიების მომმადლე ნიჭი, ტყივილები ეკლე-  
ბად შემასხიო. კიდევ ის უნდა, კინძემ მუჭა  
გაზაფხული უსახსოვროს და დაემაროს,  
რომ როგორმე სიტყვით უნამლონ ამაოების  
ბაზარს. მაყვალა გონიერები ერთ ლექსში  
დაეჭვებით გვეკითხება:

როგორ გგონიათ, ვიპოვნი ჩემს თავს?

მეწევა ბედი? როგორ გგონიათ?

მეც პატიოსნად უნდა ვუპასუხო:

ქალბატონო მაყვალა!

**ციურ გაღილა ხარ გადამორცული**

**იუბილარ მაყვალა გონიერები**

შენ ლექსით მიეც გრძნობებს სასულე  
(ლექსი — პოეტის არის ცხონება!...).  
სიცოცხლეს ისე ვერ გაასრულებ,  
მწარედ არ გაგრას ბრჭყალი (ცხოვრებაში).

ყოველთვის გძულდა ქვეყნის ორგული,  
გულს რომ მწუხარე კვალი გაგივლო...  
ციურ ბალიდან ხარ გადმორგული,  
მზედ უკვდავების რომ იყვავილ!

ლმერთმა სიცოცხლე მისთვის გაჩუქა,  
შენი ულელი ზიდო შენ მარტო,  
ყოველ განსაცდელს შეხვდე ჩაუქად,  
მზე და ყვავილი მამულს შემატო!

თუმც ტანჯვა იყო აუარება —  
სული სპეტაკი შეგრჩა ბავშვივით...  
პოეტს სიკვდილი არ ეკარება,  
თუ ზეციერთან მას აქვს კავშირი.

თუ არ ინუხე, თუ არ ინაღვლე,  
სხვაფრივ პოეტი როგორ იცნობა...  
ქალის სითბო და აზრის სიმაღლე  
ადგას შენს ლექსებს მარადისობად!

**თენციზ სვანიძე**

\*\*\*

**ქალბატონ მაყვალა გონიერები**

რა ვქნა, ვერავის ვერ შეგადარეთ,  
როგორც პოეტი და როგორც ქალი,  
გამიჭირდება სადარი გვივოო,  
ისე სათონ ხართ, ისეთი კარგი.

მუდამ მინდონდა ლექსად მომეძლვნა,  
ჩემი გულიდან ამოძახილი,  
ვერა ვგება და რადგან მეგონა,  
არ დაგიტოვეს ჩემი სათქმელი.

მასზე უკეთესს ვერაფერს გეტყვით,  
რაც პოეტება ლექსად მოგიძლვნეს,  
მოკრძალებულად მანც გავძედავ —  
გეტყვით — მაყვალა, დიდხანს

იცოცხლეთ!

**ივეტა პატიოაშვილი — დოხნაძე**

**აოეზის დადობას**

**მაყვალა გონიერები**

სამოცი წლის იუბილეს  
მოგილოცავ სიყვარულით,  
იდლეგრძელება, არ მოგშლოდეს  
ჯანი მრთელი, სიხარული.

დაგილოცავ დედას, ვინაც  
გშობა, გზარდა თბილი, სათონ,  
ყველას მიმართ გვერდში მდგომო,  
ჩენს გულს სიყვარულით ათბობ.

შენს ოჯახთან, მონაგართან,  
იყავ მუდამ ბედნიერი,  
ღმერთმა მადლი მოგფინოს და  
დაგილოცას ფუძე-ჭერი.

სულ გვესმოდეს ნარმატება  
შენი, იმერ-ამიერი,  
ღვთის წყალობა, მფარველობა  
გქონდეს მრავალუამიერი!

**ნანა გუნია**

**ვამაყობ შენით**

„მე კი დაჭრილი ფრთხები მეჭირა,  
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი...“

გულწრფელო, მინდვრის ყვავილივით  
სუფთა და ჰაეროვანო, ამავე დროს ძლიერ-  
ფესვებიანო, ჩაჭედილო მმობლიურ სამ-  
ყაროვში — ასეთი ხარ, მაყვალა გონაშვილო,  
ასეთია შენი პოეზია. მაყვალა ხომ შეუდრე-  
კელი, მებრძოლია. ხარ — „შეუდრეკელი, ნე-  
ბადართულ სიძულვილისა...“ „რომელსაც  
ვერაფერი ვერ გასტეხს, ვიდრე მშობლიური  
ზეცის ქვეშა“.

ქალბატონებო და ბატონებო, ხომ ყვე-  
ლამ ვიცით, რომ უფრო ზუსტი პორტრეტი  
ადამიინისა არ არსებობს, ვიდრე მისი ყოფა,  
საქციოლ განვლილ დღებში. აფერუმ შენ,  
ქალბატონ მაყვალა!

გილოცავთ, გლოცავთ, იყავით მრავალ  
წელს ასეთივე მშვენიერი.

ვამაყობთ შენით, გვიყვარხარ.

**გილგი პათიაშვილი  
(გვა პათიაშვილი)**



**სიკათით სავსე ქალბატონი**

ვულოცავ ბრწყინვალე პოეტს არაჩეუ-  
ლებრივ დედას, ქალბატონს, ქართველ  
ქალს, რომელსაც უყვარს თავისი სამშ-  
ობლო. მისი შემოქმედება დიდად არის  
გამსჭვალული ხალხისა და ქვეყნისადმი სი-  
ყვარულით.

დიდ პატიოს ვცემ არა მარტო როგორც  
პოეტს, არამედ როგორც ბრწყინვალე ქა-  
რთველ ქალბატონს, რომელიც ყველა  
შესანიშვნაში თვისებდებით არის შემუშავი.

მაყვალა მე მიმაჩნია ჩემს უმცროს დად.


სიკეთით სავსე ქალბატონია. უნდა, რომ  
ყველას სიკეთე გაუკეთოს, რაც ძალიან იშ-  
ვიათია დღეს.

გამორჩეულია ყველაფრით, მუდამ მის  
გვერდით ვდგავარ. დიდ ნარმატებში და  
გამარჯვებას ვუსურვებ.

**გვი თოიძე  
მხატვარი**

**„ვინ გაპატიობს,  
რომ ხარ კათილი“**

ღვთის წყალობაა მაყვალა გონაშვილის ჩვენს მორის არსებობა. დავაპირე ფიქრის ფურცელზე გადატანა და უნებლიერ შევერთი. არის აზრები, რომლებიც აზრებშივება სწორი, აქცევ სიტყვებად და უკვე დანაშაულად აღიქმება. ადამიანის ძაგებას დიდი გასავალი აქვს ჩვე



## ბაგრატ ბადიძი

**რცხვება და სინამდვილე  
ეძღვნება ბიძინა ივანიშვილს**

შესავალის მაგიერ

უსასარულოა ჩვენი სამყარო...  
ვარ მარტიოსული, ვარ უსახლკარო,  
შეკედლებული „სამხედრო ქალაქი“.  
გადამივიწყა კაცმაც და ქალმაც...  
მყიფება ჩემი შრომა და გარჯა,  
ჩემი სახლ-კარი სოხუმში დარჩა.

\*\*\*

როდესაც ხდება ქვეყანაში დიდი ამბები,  
მაშინ პოეტი ეგებება დითირამბებით  
იმ ახალ ამბებს და უმღერის წრფელი ლირიკით  
მას, ვინც ლირისა შექების და პანეგირიკის.

\*\*\*

ერთ გამოჩენილ, დიდ პიროვნებას,  
მეც რომ მივუძღვნა ლექსი, პოემა,  
შევაქო, როგორც რაინდი, გმირი,  
რატომ იქნება ეს გასაკვირი,  
თვით მეფისნაცვალს ვარანცოვს აკი  
პოემა უძღვნა დიდმა აკაკიძე.

\*\*\*

მისი სახელი ვის არ სმენია,  
ის დიდებული ბიზნესმენია.

ამასთავე ქველმოქმედია,  
მასზე ხშირად წერს ჩვენი მედია.

ცხოვრებას უკან არ მივდევ ტივით,  
როგორც კაცი და როგორც პოეტი,  
მინდა ამ არაჩეულებრივი  
ადამიანის შევქმნა პორტრეტი.

გამდიდრდება და, ხდება მავანი  
ქედმაღალი და ამპარტავანი,  
ხოლო ის კაცი, ვისაც ვუგალობ,  
სიცოცხლესავით არის უბრალო.

დაპირებები გასცა მან უხვად  
(კაცს ემტება ის, რაც მისია),  
ამ კაცს თავისი სამშობლო უყვარს,  
მას კარგად ესმის მისი მისია.

არ გაკეთდება საქმე იოლად,  
ბევრი რამდენ ხელისშემშელი,  
საჭირო არის მუდმივი ბრძოლა,  
რადგან სამყარო არის შეშლილი.

როდესაც ხალხის დამძიმდა ყოფა,  
და დაემუქრა ერს კატასტროფა,  
ხელისუფლება გააკრიტიკა  
და მიაშურა მან პოლიტიკას.

რადგან მიაჩნდა მას თვალის ჩინად,  
მან საქართველო გადაგვირჩინა.

\*\*\*  
სულ პირზე ეკერა იმ ტირანს, იმ შეშლილს:  
„ყველანი ციხეში!.. ყველანი ციხეში!..“

ის დრო წავიდა,  
ქარმა გახვეტა  
დროის ფურცლები...  
მაგრამ დახვრეტა  
შუა ქუჩაში  
ახალგაზრდების  
გვახსოვს,  
განვიცდით,  
ვწუხვართ,  
ვპრაზდებით...

\*\*\*  
გაიხსენეთ, ხალხო, თუნდაც  
ბადრი პატარკაციშვილი,  
გზა გამოჩნდა მხოლოდ მაშინ,  
ურემი რომ გადაბრუნდა...

სამართალი იგვიანებს?  
ალბათ გული ვერ გაგიძლებს...  
გვახსოვს: სანდრო გირგვლიანი  
და ირინა ენუქიძე...

წუთისოფლის მძიმე ხარკო,  
ეს ცხოვრება ამად ლირდა?  
იქმნა საქმე საეშმაკო  
და მიშმავი ახითხითდა...

ისმოდა ხალხში მისი გინება,  
ვინც კიდევ დიდხანს იბოგინებდა,  
რომ არა ერთი მილიარდერი,  
ვინც იხსნა მაშინ ქართველი ერი.

\*\*\*

„ეულისებიდან“ თურმე იგი ქვეყანას  
მართავს...  
ასე ამბობენ მისი მტრები, ვრცელდება ჭორი,  
ერთმანეთისგან ვინ გაარჩევს ტყუილს და  
მართალს,  
მაგრამ ეს, ჩემო ძვირფასებო, არ არის სწორი.

გსურთ გააშუქოთ მისი საქმე, ასე ვთქვათ:  
რამპიო!  
„ის ბიზნესიდან მოვიდაო პოლიტიკში“, -  
ნიშნისმოგებით ამბობთ, მაგრამ ისიც  
თქვით მაშინ -  
პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა ტრამპიც!

\*\*\*

ისე არ არის ყველაფერი, როგორც ჩვენ  
გვინდა,  
მაგრამ სიკეთე, ვით „მანანა“, არ ცვიგა  
ციდან.  
საჭირო არის შრომა, გარჯა და მოთმინება  
და ყველაფერი კარგად იქნება.

\*\*\*

ო, დარღო ჩვენო, სასოებავ,  
ფიქროთგასართველო...  
თქვა პატრიარქმა: „ზოგჯერ ვფიქრობ,  
რომ საქართველო  
ლოდს და ქვასა ჰგავს დაგორებულს ციცაბო  
კლდიდან,  
რომელსაც ანი არაფერი არ ეშველება“.  
ასე თქვა ჩვენმა პატრიარქმა, სხვა რაღა  
გინდათ,  
ამაზე დიდი რა იქნება საშინელება.  
„გადარჩებაო საქართველო“, - მან ესეც  
ბრძანა,  
დაგვამედა უწმინდესმა, დაგვლოცა, თანაც  
თქვა პატრიარქმა: „საქართველოს მისი  
„დიდგორი“  
ყოველდღე აქვსო მოსაგები... თუმცა იგნორი

ყოველდღე ხდება ამ ფაქტისა! ასე სურს  
მავანს, მაგრამ თუ ჭურით არ ვიქნებით, წინ ველარ  
წავალთ.

ყოფა-ცხოვრება ჩვენ გვჭირდება  
მამა-პაპური,  
არ გვესახება იდეალად არც სინგაპური  
და არც დუბაი... ჩვენ გვაქვს ჩვენი  
მენტალიტეტი, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს სიმართლის და  
ჭეშმარიტების.

„რასიას“, ჩემო კეთილებო“, ის ურჩევნია,  
რომ ვიყოთ მისი პროვინცია ან გუბერნია.

ბრმად წუ ავყვებით ამერიკას, „ბებერ  
ევროპას“,  
არ გვეკადრება თვალთმაქცობა და  
პირფერობა.

გალაკტიონი გამახსენდა: „ყოფნა უმზეო“,  
დღეს „დასავლური სუბკულტურა“ არის  
უზნეო.

ესეც ფაქტია: საზღვრები აქვს  
თავისუფლებას, ამის გარეშე ჩვენი ერი დაიღუპება.

ჩვენს წინაშეა ორი მონსტრი: „სცილა“,  
„ქარიბდა“  
და ვაი, იმ ერს, ვინც მათ თავი ვერ აარიდა!

ფულს, რა თქმა უნდა, სუნი არ აქვს,  
მაგრამ ნაცია  
სულის გარეშე არის ერის პროფანაცია.

ქართველისათვის მთავარია რწმენა,  
ღირსება,  
ეს არის ფაქტი უტყუარი და უეჭველი,  
ითმენს ყველაფერს, ვიდრე სულმთლად არ  
აივსება  
მის სულში თმენის, მოთმინების თასი,  
ჭურჭელი.

თქვენც ქართველი ხართ, იცით ჩვენი  
მენტალიტეტი,  
ვერ იპარპაშებს აქ შიშველი ლიბერალიზმი!  
საჭირო არის მეტი სილრმე და ანალიზი,  
რა უნდა გითხრათ, დიდო კაცო, ამაზე მეტი.

ველა იგუებს ჩვენი ერი, ჩვენი ნაცია  
უზნეობასთან კოპაბიტაციას.

თუ ერთს არა ვსჯით, იმ მეორეს რას  
ვემართლებით,  
შშრალზე გამოსვლა მოახერხეს  
აფერისტებმა...  
რა ჩიტს დავიჭროთ ზოგ-ზოგების  
გასამართლებით,  
საჭირო არის გასამართლდეს მთელი  
სისტემა...

მწერალთა კავშირს ჩამოართვეს მათი  
შენობა,  
დღემდე გრძელდება ეს სიგლახე, ეს  
ჩუკენობა.

„ალტერნატიულ შენობაზე“ აქ ლაპარაკი  
არც შეიძლება, მწერლებს მისცეს ძველი  
„ბარაკი“!

იქვე ცხოვრობენ ლტოლვილებიც იმ  
შენობაში...

და რა დღეც ადგათ დევნილ მწერლებს,  
მიხვდება ბაკვიც.

ეს იყო ხანა ტერორის და ვოლუნტარიზმის!  
დღეს სიმართლის ხმა უფრო მძლავრად  
რატომ არ ისმის?  
ერს პატრონობდა ბრძენი ილია,  
თქვენ ნუთუ ტყვე ხართ გარემობის,  
ბატონო, ნუთუ არ შეგიძლიათ  
ალაგონთ ჩვენი „ენჯეოები?“

მართლა და მართლა, შეგეძლოთ ნეტავ,  
რომ წინ აღუდეთ სასტიკ გლობალიზმის...  
მე, როგორც ვატყობ, ამ ჩვენს პლანეტას  
მორყეული აქვს ჩარხი, ბორბალი...

თქვენს ძალისხმევას შევადარებდი  
დიდგორის დიდი ომის მოგებას!  
გთხოვთ, დაარისხოთ მაგრად ზარები  
და ქუდზე კაცი თქვენ გამოგყვებათ.

„მამული, ენა, სარწმუნოება“, -  
რომ გვიანდერდა დიდმა ილია,  
ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილია,  
მაგრამ ისეთი დადგა დროება,  
რომ ეს სიტყვები ეუცხოვებათ...

რას იტყვის თქვენზე ქართველი ერი,  
ან მომავალი ჩვენი თაობა,  
ეს არის საქმე, სხვა ველაფერი  
არის ქიმერა, არარაობა.

თუმც ამინებენ ხალხს ცრუ განგაშით,  
არ მომწყინდება თქვენი შექება,  
ახლა სხვა დროა, ხალხი ნაგავში,  
ჭუჭყში და მტვერში არ იქექება.

უნდა ვახაროთ სიკეთის თესლი,

გაგვითებდება დღე უკეთესი.

ნავა ქვეყანა წინ წარმატებით,  
ოღონდ „პრემია-დანამატებით“  
წუ გაუსქელებთ ჯიბებს მაგანთ,  
თორემ ქვეყანა წინ ვეღარ ნავა...  
თუმცა ამაოდ არ გვიპრძოლია,  
აქვთ ზოგიერთებს მონოპოლია...  
თქვენ ალბათ ამ ფაქტს მოუგრეხთ კისერს,  
თქვენ ამას თქვენი ხალხი გაკისრებთ.  
მაგრამ თუ ასე გაგრძელდა დიდხანს,  
ალბათ მამულსაც გაგვიყიდან!  
არ გვილხინს, მაგრამ სიმართლე გითხრათ,  
თქვენი იმედი მაინც დიდია.

ვერ პპოვებს ალაგს ერის წიაღში,<





ჩვენი მომართვა ერთი ცნობილი მოღვაწის გამონათქვამის შეხსნებით გვინდა დავიწყოთ - ყველაზე დიდი ფუფუნება ადამიანთა შორის ურთიერთობების ფუფუნებაა და რაოდენ მისასალმებელი და ასაღიარებელია, როდესაც ეს ურთიერთობები განზოგადდება და ერთა შორის მეგობრულ დიალოგად გადაისახება, რაც თავისთავად როდი ხდება, ეს ხომ დროსა და სივრცეში განტავსებული პროცესია, რომელსაც გამორჩეული ადამიანები წარმართავენ.

სწორედ ასეთ ადამიანად გვესახება ჩვენი თანამედროვე, უაღლესად ნიჭიერი და სწორუპოვარი შემოქმედი ბატონი ალი ისაევ-ავარსკი. ყველა სფეროში, სადაც მას ნაყოფიერი მოღვაწეობა უხდება, საკუთარ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხელწერას სტოვებს, იქნება ეს კინო, პროზა თუ საზოგადოებრივი საქმიანობის სარბილი. მანამდე კი იყო გზა, რომელიც აღსავს იყო მრავალი წინააღმდეგობით და რომელიც ღირსეულად გაიარა.

დაღესტნელი ახალგაზრდის საქართველოში ჩამოსვლა დეფიციტის განპირობებული, თუმცა ყოველთვის ახსოვდა დედის შეგონება - მზის დასალიერში არის უმშვერიერესი ქვეყანა საქართველო, თუკი მოგიხდება იქ ჩასვლა, მუხლი მოიყარე მის წინაშე და პატივი მიაგებე მას. პატონ ალის დიდი ქვეყნის მრავალ ქალაქში მოუხდა ცხოვრება და საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, მაგრამ ბედ-მა მის საბოლოო სამყოფელად სწორედ საქართველო განუსაზღვრა. ეს იყო გასული საუკუნის 60-ანი წლები, პერიოდი, როდესაც საქართველო და ცივილიზებული სამყარო დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავს ზეიმობდა.

თბილისში ჩამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, შეიძინა თვითმმფრინავის ბილეთი და კეთილი მოლოდინის განცდით დაელოდა ფრენის დასრულებას. ტრაპზე გამოსულმა უამრავი დამხვედრი დაინახა (შემდგომში გაარკვია, რომ ეს ადამიანები იუბილის აღნიშვნის მონაწილე სტუმრებს ხვდებოდნენ), რომელთა შორის მისი ყურადღება ძალაუნებურად ერთმა მიმზიდველი გარეგნობის სანდომიანმა გოგონამ მიიღო. ბატონი ალი იხსენებს: იგი ხალხის ნაკადს გამოჰყა, მიუახლოვდა მას და მოხდა მისთვის სრულიად მოულოდნელი რამ - გოგონამ ნაზად გაუწოდა ხელი, აიდანაც მომაჯადოვებელი სითბო გადმოვიდა მის სხეულში. ასე გაიცნო მან თბილისის კონსერვატორიის ახალგაზრდა ლექტორი, უნიფირესი ქართველი მუსიკათმცოდნე მზია იაშვილი, რომელთანაც სამომავლოდ ოჯახური თანაცხოვრების ბედნიერება არგუნა უფალმა ალის. შემდგომში ყველაფერი თავისდაუნებურად განვითარდა - დაადგა თუ არა ფეხი ნიადაგს, დალესტნელმა ყმანვილმა მუხლი მოიყარა, დაემხო და ეამბორა ქართულ მიწას. აი, ასე უერთგულა მან დედის შეგონებას და აასრულა მისი სურვილი.

საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა ახალგაზრდა ალისათვის ცხოვრების პირველი წლები მის მეორე სამშობლოში. თავი არ დაუზოგავს იმისათვის, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია მოეხდინა. მისი ნიჭიერება და შემართე-

ბა კარგად გამოჩნდა გასული საუკუნის  
70-ანი წლების დასაწყისში, როდესაც  
კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ შეიქმ-  
ნა კინო-სამსახიობო სტუდია, რომელ-  
საც განსაკუთრებული გულმოძგინებით  
მიეძალა ქართველი ახალგაზრდობა,  
მათ შორის აღმოჩნდა ბატონი ალიც, ხ-  
ხოლო სწავლის დასრულებისას ოთხი  
წლის შემდგომ, რამდენიმე ათეულ კურს-  
დამთავრებულთა შორის მხოლოდ მას,  
ეთნიკურად არაქართველს ერგო კინო-  
სტუდიის შტატში აყვანა, რაც მრავლის-  
მეტყველად მიუთითებდა მის სამსახიო-  
ბო პოტენციალზე, თუმცა იგი დღესაც  
ფიქრობს იმაზე, იყო ეს მისი ტალანტის  
აღიარება, თუ მის მიმართ მშობლიური  
მზრუნველობის გამოვლინება. ალბათ  
ორივე ერთად.

# ବ୍ୟାକ ପରିଚୟ

შია გამართლებული, როდესაც იგი მათ  
შერიგებას გადაწყვეტს. ასე გაიღო სა-  
კუთარი ნილი ბატონმა ალიმ ნინაპართა-  
მიერ რუდუნებით აგებული სიყვარულისა-  
და მეგობრობის ხილის შენარჩუნებაში  
ვფიქრობთ, მისი ეს ჭეშმარიტი გმირობის  
ტოლფასი საკუთელი ქართული საზოგა-  
დოების მხრიდან სატანაძოდა ალბათ ჯერ  
არაა შეფასებული და არ შევეცდებით  
ყოველივე გავამართლოთ იმის მოშვე-  
ლიებით, რომ რთულ ეპოქაში გვინევრი-  
ცხოვრება, რომ ობიექტური ვითარება  
ზღუდავს ჩვენს საზოგადოებრივ აქტი-  
ურობას, რომ ვერ ვიცლით ერთმანეთი-  
სათვის. ჩვენის აზრით, გამოწვევებით  
ადასავსე გარემომ არ უნდა შეგვზღუდოს  
ისეთი დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში  
სადაც საკუთარი ადგილი უნდა დაეთ-  
მოს ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის

ვინმეს გვერდში დადგომოდა ბატონ ალის  
მიზნის განხორციელებაში?! მან თავადვე  
იტვირთა ყველაფერი, მიიღო რა გად-  
აწყვეტილება ფილმისათვის სახსრების  
მობილიზებისათვის ბანკში ჩაედო საკუ-  
თარი ბინა მასში განთავსებული ქონებით  
და რას იფიქრებდა მაშინ, რომ მისი გამო-  
სყიდვა დღემდე გადაუჭრელ პრობლემად  
გადაექცეოდა.

ამ თვალსაზრისისითაც საჭიროებს იგი  
თანადღომას.

ბატონი ალი ხშირად უზიარებს საკუთარ გულისტყვიილს განვლილის შესახებ მეგობრებს და სიხარულით აღნიშნავს, რომ ღვთით ნაფერები ქართველი ერი კუთვნილ ლირსეულ ადგილს იკავებს მსოფლიო თანამეგობრობაში და ამას ობიექტურ მიზეზებს მიაწერს, მათ შორის იმ სულისკვეთებას, რომელიც ქვეყნის, საბოლოოსადმი სიყვარულის გამოვლენითაა განპირობებული, რომ ეს გვეხმარება წინააღმდეგობათა დაძლევაში, გამარჯვებასთან შეხებაში და მომავალს იმედის თვალით უყურებს, ვინაიდან სჯერა, უბრალოდ დარწმუნებულია, რომ ძალიან მალე დაიძლევა ჩენში ყველა დროებითი სირთულე, რომელიც აფერხებს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და ქართველი ერი კავკასიაში აუცილებლად ლიდერის ფუმქციით, ისტორიული პასუხისმგებლობით შეუდგება ერთიანი კავკასიის იდეის ხორცშესხმას მომქენებლობას და ხალხებთან ერთად. ბატონი ალი ოცნებობს, თანამოძმებთან ერთად დააფუძნოს კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტი, სადაც ახალგაზრდა უნიჭიერესმა ახალგაზრდებმა ახალი, გაბედული და დიდ ჰუმანიტარულ შედეგზე ორიენტირებული სიტყვა უნდა თქვან კავკასიელი ხალხების ურთიერთდაახლოების უაღრესად მნიშვნელოან საქმეში.

ამასთან დაკავშირებით გვსურს, მი-  
ვმართოთ ყველას, ვისაც ხელენიფერა  
შეუმსუბუქოს სოციალური ყოფა საქა-  
რთველოს სიყვარულით დატვირთულ  
შემოქმედს, დახმარება გაუწიოს მას  
შემოქმედებითი საღამოების მოწყობა-  
ში, სადაც ნაჩვენები იქნება ფილმები და  
პრეზენტირებული მისა წიგნები, ვისაც  
შესაძლებლობა ექნება ხელი შეუწყოს  
მის მიერ შექმნილი ინტელექტუალური  
პროდუქციის რეალიზებაში, რათა ამო-  
გებული თანხა ისევ და ისევ სასიკეთო  
საქმეს მოახმაროს.

ცოტა ხნის წინ ბატონი ალი ისაევ-ავ-  
არსკის საუბილეო თარიღი ეწვია,  
რომელიც მოკრძალებული ფორმით  
საკმაოდ ვიწრო, მეგობრულ წრეში აღინ-  
იშნა კიდეც, თუმცა შეიძლებოდა მას მეტი  
საზოგადოებრივი ქლერკადობა ჰქონიდა,  
რამაც უკარისობის განცდა დაგვიტოვა  
მის უახლოეს ახლო მეგობრებს და რომ-  
ლის შევსება სწორედ წარმოდგენილი  
მომართვით გადავწყვიტეთ.

ვიტოვებთ იმედს, რომ საქართველოზე  
ამ უკიდეგანოდ შეყვარებული კავკასიო-  
ელისათვის კიდევ მოიცლის ჩვენი საზო-  
გადოება და სიყვარულს სიყვარულითვე  
უპასუხებს.

რევაზ მიშველაძე  
მაყვალა გონაშვილი  
დიმიტრი კორძაა  
სოსო სიგუა  
ჯემალ ჭკუასელი  
თემურ ჩალაბაშვილი  
შერაბ კოკოჩაშვილი  
გალათერ არაბული  
რამაზ (ბუბა) ხოტივარი  
თამაზ შილა კაძე  
გაია ლობჭაბიძე  
ვახტანგ ყოლბაია  
გიგა ბათიაშვილი  
რეზო ადამია  
ვაჟა აზარაშვილი  
ქეთი დოლოიძე  
ზურაბ აბაშიძე  
კახი კავსაძე  
გია გგაზავა  
ბუბა კიკაბიძე  
ლევან თედიაშვილი



## ენვერ ნიუჟარაძე

### ქართული მინის საგალობრივი

მე ვერ მოვკვდები უცხოეთში, უცხო  
მხარეში  
ვერასდიდებით ვერ ჩავწევები ცივ  
სამარეში.  
მძიმეა, მძიმე უცხო მინა, უცხო მამული,  
ქვალორდიანი, უგემური და უამური.  
აქ არც კოდორი მოგრიალებს და არც  
არაგვი,  
არც ჩვენი ზამთრის დამეები იცის  
ვარანგი.  
არც გაზაფხულზე ვარსკვლავების  
უიუღო-უინჯლალი,  
მხოლოდა შლეგი თოვლბორბალა და  
კოხშინშხალი.  
კოშტი, კოლბოხი, შერეული ნებოს და  
უალტამს,  
მე რომ აქ მოვკვდე, დავიწყებას  
შემომასალტავს.  
შემკრავს, შემხუთავს დაზონული  
გულზე გორებად  
და სული ჩემი სხეულს ვედარ  
განეშორება.  
ვეღარ დააღწევს თავს ქვესკენლურ  
წყლების დინებას.  
ვერ გაფრინდება ლაჟვარდებში  
სარონინებლად.

მინის მარწუხებს რომც დაუსხლტეს  
სული მევნესარე,  
საით ეძიოს მან სულები მონათესავე?  
აქ ცას და ზეფირს ხომ ქართულ მზის  
ელვა არ ამკობს,  
აქაურ სულებს რა ენაზე ელაპარაკოს?

2.  
მე ვერ მოვკვდები უცხოეთში, უცხო  
მხარეში,  
ვერა, ვერაფრით ვერ ჩავწევები ცივ  
სამარეში.  
მე რომ მოვკვდები, უნდა ჩავწევე  
ქართულ მინაში, -  
ცრემლი დადინდეს უნდა თვალზე დას  
და ბიძაშვილს, -  
სანდოდ გარანდულ, სანდოდ გათლილ  
მუხის ფიცარში,  
ფხვიერ, გემრიელ, სურნელოვანა  
ქართულ მინაში.  
ჩრდილოვანებიც მიყვარს მისი და  
პირმზით მიჩნევას იგი გადას იგი გადას.

დაკერებული მის სარტყელზე ვერცხლის  
ყანიმად, მე ხომ ჯილაგით იქაური მინის კაცი ვარ.  
იქ ერთად წვანან მამაჩემი და დედაჩემი,  
ნათესავები, - ვაჟკაცები ნარჩევ-ნარჩევი.  
მზანი სიყრმის მეგობრები, ადრე ნასული.  
ჩემი მარადი სიყვარული დიდი ნარსული.  
მხოლოდ იქ, მხოლოდ სანდოდ გათლილ  
მუხის ფიცარში...  
მე ვერ ჩავწევები, ვერ ჩავწევები უცხო  
მინაში.

3.  
მე ვერ მოვკვდები უცხოეთში, უცხო  
მხარეში  
ამ სიმწარეში ვერ ჩავწევები ცივ სამარეში.  
დაეპატრონენ საქართველოს ბაყბაყდევები  
და ვითოშები სამშობლოდან განადევები.  
გამომალვიძებს უამიდაუამ უღერა ბუკების.  
ეს ეგვიპტიდან მეძახიან მამელუკები.  
ყმანვილკაცები დედებმა რომ სიმწრით  
გაზარდეს,  
დაყიდულები ისტამბულის ტყვეთა  
ბაზარზე.  
ხილვებში ვხედავ, ზოგჯერ ბინდზე,  
ზოგჯერ ცისკარზე,  
თეთრ ბედაურზე მონავარდეს და  
მოკისკასეს.  
თვით ალი ბეის, - დაპადებულს ქრთველო  
ბელადად,  
მაგრამ ვის ხმალზეც არაბეთის მთვარე  
ელავდა.  
სიკვდილის ნამსაც მის შმაგ ლომებს,  
მრჭყალებალესილს,  
აუხდენელი ნატვრის ცრემლი ედგათ  
თვალებში.  
მძაფრი ღრიალით ან უდაბნოს აღარ  
ზაფრავენ.  
ვეღარ მივაგენ მათ ნატოტარს და მათ  
საფლავებს.  
გულს მიკლავს კვენესა გოჩასი და ჩვენი  
ხეიჩასი.  
მე ვერ ჩავწევები, ვერ ჩავწევები უცხო  
მინაში.

4.  
ჰე, ნაშიერო ქართლოსისავ! სად არ  
გივლია,  
სად არ ყოფილხარ, გიგრგვინია და  
გივლია.  
დაგიგდია რა ხერთვისი და თაფარავანი,  
გზებს გასდგომისარ ფეხით, ჯორით, და  
ქარაგანით.  
დაგტრიალებდნენ თავს სვავები, ავი  
ყაშუაშით,  
ცხელ სამარყანდში, დამასკოში თუ  
ისპაპანში.  
რა არ იღონე, რომ სამშობლოს არ დაეჩოქა,  
ლვთივურთხეულო საქართველოს დიდო  
ელჩობავ!  
შენ გქონდა ნება ვით სიქველით და ზნით  
ქებული  
იერუსალიმს შესულიყავ ამხედრებული.  
ოდეს ვჭვრეტ წმინდა ფრესკებს, დვთიურ  
ყალამმონასმელს,  
სადა სენაკებს, კლდეში ნაკვეთს, დიად  
მონასტრებს,  
მხებში ვიშლები და ვეებას ვგრძნობ  
სიამაყეს.  
დღეს თქვენ რომ მყავდეთ, ბილნი მტერი  
მე რას დამაკლებს.  
ერთსულ, ერთხორცი ვასწავლიდით  
ჭკუას ქოფაკებს,

ორთავ მუხლს უუყრი თქვენს საფლავებს  
და სარკოფაგებს.  
შორს საქართველოს ისევ ბურავს  
ნისლის თალხები.  
უცხო მინაში ვერა, მე ვერ დავიმარხები.

5.  
მე ვერ მოვკვდები უცხოეთში, უცხო  
მხარეში  
ვერასდიდებით ვერ ჩავწევები ცივ  
სამარეში.

რა ამბავია ეს ამდენი ტყვე და ხიზანი?  
ალარ ყმუიან რატომ ალგეთს ლეკვნი  
მგლისანი?  
ეს დაწყვეტილი აღვირები და უზანგები  
კვლავ სასჯელია ცოდვილთაოვის ნუთუ  
განგების?

ხომ ვეღარ მოვრჩი აღმადალმა გზებზე  
ხეტიალს,  
ლევილის ხილვა, აქამდე ვერ გამიბედია.  
დარდით დამწვარი ქართველები სადაც  
დამინდნენ,

ვაჲ, თუ უეცარ ელდისაგან გული  
გამისკდეს!  
თორგმა ვიცი განა, ლომი ფაფარაშლილი,  
სად განისვენებს ქიხოსრო ჩოლოყაშვილი?  
ან სად აქვს ბინა ქართულ სიტყვის  
მარჯნად ამერინდველს,  
პოეტთა შორის სწორუპოვარ ირუბაქიძეს?

ბედის გორგალი, ჩემიც, მათეპრ მწარედ  
აბურდეს,  
მაგრამ მე მაინც სამშობლოში უნდა  
დავპრუნდე.

შევხედავ რა წამს, გაცოცხლდება გული  
იმ წამში,  
მე ვერ ჩავწევები, ვერ ჩავწევები უცხო  
მინაში.

6.  
ჩაქრა ცისკარი და მზის სხივი აღარ  
კანდელობს.  
უღმერთოებო, რა უყავით ჩემს  
საქართველოს!

აღმასი მიწყივ მოციაგე, ოქრო ბაჯაღლო,  
ვის დაულოცეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.  
ამერ-იმერო, საფერავის ტკბილო აკიდოვ!  
რა უნდა მომცენ, რომ შენ დაგთმო, რომ  
შენ გაგყიდო.

გადაგვარებულ ურცხვ პირუტყვებს რომ  
დავემსგავსო,  
მინდა შენს საზღვრებს ჯავშანივით  
შემოვეგარსო.

თუმც მძიმე ტვირთი, სამამულო, მისებრ  
ვერ ვზიდე,  
მე მხარში ვედექ საქართველოს პირველ  
პრეზიდენტს.

ამირანივით გაგვინათა ვინაც წყვდიადი.  
მოენატრება საქართველოს ბევრჯერ  
ზვიადი.  
მისი სიმტკიცე, მისი სიბრძნე, მისი

ქველობა,  
ნარმომავლობა, აღზრდილობა,  
გულქართველობა.  
მისი საგანთა არსში წვდომა, სხვისთვის  
ფარული,  
მოსვლა, ნახვა და გამარჯვება  
ტრიუმფალური.  
მომშორდი სევდავ! ნუ მიდგახარ,  
დარდო, კრიჭაში!

7.  
ალარ გათავდნენ ღამები ტანჯვა-წამების,  
მესიზმრებიან შენი წმინდა სალოცავები.  
შენი ვარდები, ხავერდოვან ბილილიანი,  
შენი ცრემლები, შენი მზერა ტკივილიანი.  
ერთი სული მაქს გადმოვდგები როდის  
ლიხიდან,  
მაგ შენს დალეულ შემოგარენს როდის  
ვიხილავ.

კავკასიონზე იალონი როდის იალებს,  
მივესალმები როდის გომბორს, გოდერს,  
თრიალეთს.

ალმადგენს მკვდრეთით, შთამბერავს  
სულს, პირველყოვლისა,  
ზარების უღერა გელათის და  
სვეტიცხოვლისა.

მერე ენგური მომასხურებს შხეფებს  
სახეში,  
ლამარიადან ჩავიხედავ შხარის სარკეში.  
დააქუხებენ "რიპოს" მთები,  
ოქროსჯილები.

დაფეთდებიან ჭიუხებში შლეგი ჯიხები.  
პაპის ბერდანას ერთხელ კიდევ ვისერი  
მიზანში.

სანდოდ გარანდულ, სანდოდ გათლილ  
მუხის ფიცარში,  
ფხვიერ, გემრიელ, სურნელოვან ქართულ  
მინაში.

8.  
მე ვერ მოვკვდები უცხოეთში, უცხო  
მხარეში  
ვერასდიდებით ვერ ჩავწევები ცივ  
სამარეში.

ჩემი თოქალთო მირჩევნია სხვათა  
ხალიჩებს.

ჩემი აქ დაფვლით მტერს სიხარულს ვერ  
მიგანიჭებ.  
როგორც კი მნათი ბნელზე პირველ  
სხივებს დაბარდნის,  
უნდა ავიკრა მაშინათვე გუდა-ნაბადი.

მხოლოდ იქ, სადაც ვაჟკაცები წვანან  
რჩეული,  
ქართულ მინისთვის ბრძოლის ველზე  
სისხლდანთხეული.

მხოლოდ იქ, მხოლოდ მგოსანთა და  
გმირთა მხარეში,  
მეც შორიახლოს სადმე ჩავწევე, მსურს  
სამარეში.

რომ სულმა ჩემმა, მარადიულ სევდით  
სნეულმა,  
ცოცხალთა შორის ასე მარტომ, ასე  
ეულმა,

მთვარის ფოთლებში ჩაძირულმა და მზის  
მტევნებში,  
ლრუბელთა შორის აკივლებულ  
ლაჟვარდთ ტევრებში,

მონათესავე, მონატრებულ სულებს  
მიაგნოს  
და მათთან ერთად ილივლივოს და  
იციაგოს.  
მათთან იუბნოს ტკბილქართლით,  
მოსწყდეს დროებას  
და სამუდამოდ შეუერთდეს  
უსაზღვროებას.



## ზაალ ებანოძე - 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ზაალ აგაბოს ძე ებანოძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუვზანა. მისალმებაში ნათქვამია:

გატონო ზაალ!

ჩვენ ძვირფასო და საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ გამორჩეულ, კოლორიტულ ნარმობადენელს, სიკეთით, გაუკაცობით და სათხოებით საკეთე ერთსაცაცს და გილოცავები ლირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწე-იბის 60 წლისთავს.

დიახ, ექვსი ათული წელი გასულა მას შემდეგ რაც თქვენი სამწერლო დებიუტი შედგა - ბალდათის რაიონულ გაზეთ „ნითელ დროშაში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „თებერვალი“, 1973 წელს კი პირველი პოეტური კრებული გამოეცით. ასე დაიწყო კიდევ ერთი თვითმყოფადი, ყველასაგან გამორჩეული შემოქმედის სამწერლო გზა, რო-

მელმაც თქვენ ჭეშმარიტი მწერლის სახელი და აღიარება მოგიტანათ.

თქვენი პოეტური კრებულები („მთავარის კელაპატარი“, „ნების შევითა“, „ინწყბა აღმართი“, „ვის გამოიხმობ სიზმრის სახლიდან“, „ხატი მამული“, „ციდან დასარევე ზარები“, „მარადიული როველი“, „პოეტი ნაცვალსახელების ჩრდილიში“, ერთტომეული, რჩეული, „ასი ლექსი“, „წყალგაღმიდან მოინერე“) ქართველმა მკითხველმა შეიყვარა გულნრველობისთვის, მარადიული ძიებებისა და მიგნებებისათვის, სახელმისამართი, მეტაფორულ აზროვნებისათვის; შეიყვარა იმიტომ, რომ მათში ახალვენილი პოეტური ფორმებითა გაცხადებული ადამიანის რაობა, მისი ცნობიერი თუ ქეცენტობიერი დამოკიდებულება სამყაროსთან, შეიყვარა იმიტომაც, რომ მათი აგტორი, სოლიტური ასაკის მიუხედვად, მაინც ბავშვად რჩება, დიდ ბავშვად, სუფთა და ქათქათა სულის მქონე ბავშვად, გაფართოებული თვალებით რომ შესცემის მშობლიური ქვეყნის იავარქნას და ვერ დაუჯერებია, როგორ შეიძლება ღვთისშობლის წილავდომილი ივერთა მიწა ასე გაიმეტონ საჯიჯინად შინაურმა თუ გარეშე მტრებმა.

შეიძლება ძალიანაც უნდა სინამდვილიან გაქცევა, მაგრამ ისეა მიჯაჭვული მშობლიურ მიწა, იქნას ნისკარტით რომ გამომდინარება ნიაშა და საშველს ვერ პოულობს. მირიანი ფიქრით და ვაჟით გულგასენილს შემოდგომისა საღამოები უშეყრია ხელი კელაპტრად და ისე მიიკვლევს გზას უსიერ ტყეში...

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებში ფორმა და შენაარსი ჰარმონიულად თანაარსებობს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს თქვენი შემოქმედების ხიბლს.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ, ოსურ, აფაზურ და მოლდავურ ენებზე.

თავადაც ჩინებული მთარგმნელი ხართ, განსაკუთრებული ღვანლი დასდეთ რუსუ-

ლი პოეზიის კლასიკოსის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების თარგმნას. უმნიშვნელოვანების ლიტერატურული წერილები მიუძღვებით გაღაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ანზორ აბულაშვილის, გიორგი კაპანაძის, შოთა ზონიძის, დავით თევდორაძის შემოქმედებას, რომელმაც დაივანა წიგნი „ნერილები პოეზიაზე“.

შემდგენელი და ვრცელი წინასიტყვაობის ავტორი ხართ პოეტური კრებულისა „დედამუხალექსები“. კრებულში ის პოეტები შეკიდნენ, რომელმაც ქართულ პოეზიას თითო ლექსით შემორჩენენ. წლების განმავლობაში, მუშაობიდით ურნალ „განიაღმიადისა“ და უურნალ „მერმისისა“ სარედაქციით კოლეგიის წევრად.

ამჟამად ხელმძღვანელობთ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმთან არსებულ ლიტერატურულ სალონს. ხართ ბალდათის სპასტიონი მოქალაქე, დაჯილდობული ხართ ღირსების ორდენით, მინიჭებული გაქვთ აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძისა და ლადონ ასათანის პრეზიდები.

ძალის გარეშე ზაალ!

ჩვენს თვალისწილი ყალიბდებოდით ქეშმარიტ შემოქმედად და ერისკაცად, დღესაც იმ იდეალების ერთგული რჩებით, რასაც მთელი სიცოცხლე ეთაყვანებოდით, ეფერუბოდით და ეალერსებოდით. დღესაც სამშობლის ლანდად ქცეული ისტორიის მცველი ბრძანდებით, ამის დასტურა ბოლო დროს შექმნილი თქვენი პოემა - რევიეტი „წყალგალმიდიდან მოიწყერებად და ერთგული გამოგარიბი, ამირი მეტად უფრო იყენებით მომართების არა და ისე მიიკვლევს გზას უსიერ ტყეში...“

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებში ფორმა და შენაარსი ჰარმონიულად თანაარსებობს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს თქვენი შემოქმედების ხიბლს.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ, ოსურ, აფაზურ და მოლდავურ ენებზე.

თქვენი პოეტები თავითმყოფადი, ყველასაგან გამორჩეული შემოქმედის სამწერლო გზა, რო-

მეს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ბატონი ზაალ!

„ბატონინბით“ იმიტომ მოგმართავ, რომ ერთი წლით შემასწარი თოხმოცში..

ქუთაისში ერთ ქუჩაზე გავიზარდეთ. ერთი წვიმა გვინდიდა და ერთი ქარი გვარწევდა ჩვენი სიყრმის ტკბილ-მნარე დღებში.

ვიფიქრებდით მაშინ, როცა პირველი ცალხაზიანი რვეულით გადაგიარეთ თეთრ ხილზე და ქუთაისის მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის ხელმძღვანელად. უურნალ „განიაღმიადისა“ და უურნალ „მერმისისა“ სარედაქციით კოლეგიის წევრად.

შენ ქუშმარიტი პოეტი ხარ.

შენი წელმაგარი ლექსით, შენი იუველური ნებილისიტყვაობით, საოცარი სიფარიზით, ეროვნული ტკივილით და ფაქტოლოგიზმით.

სულში წვდები მკითხველს და თანამედროვეობის ლაბირინთული იორმტრიალიდან მომართების სახლ-მუზეუმთან არსებულ სალონს. ხართ ბალდათის სპასტიონი მოქალაქე, დაჯილდობული ხართ ღირსების ორდენით, მინიჭებული გაქვთ აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძისა და ლადონ ასათანის პრეზიდები.

სულში წვდები მკითხველს და თანამედროვეობის ლაბირინთული იორმტრიალიდან მომართების სახლ-მუზეუმთან არსებულ სალონს. ხართ ბალდათის სპასტიონი მოქალაქე, დაჯილდობული ხართ ღირსების ორდენით, მინიჭებული გაქვთ აკაკი წერეთლის, ეროვნული ტკივილით და ფაქტოლოგიზმით.

სულში წვდები მკითხველს და თანამედროვეობის ლაბირინთული იორმტრიალიდან მომართების სახლ-მუზეუმთან არსებულ სალონს. ხართ ბალდათის სპასტიონი მოქალაქე, დაჯილდობული ხართ ღირსების ორდენით, მინიჭებული გაქვთ აკაკი წერეთლის, ეროვნული ტკივილით და ფაქტოლოგიზმით.

სულში წვდები თამაზ ებანოძე! მაშინ და ლადონ ასათანის პრეზიდები.

სულში წვდები თამაზ ებანოძე! მაშინ და ლადონ ასათანის პრეზიდები?

სულში წვდები თამაზ ებანოძე! მაშინ და ლადონ ასათანის პრეზიდები!

შენი რევაზ მიშველაძე

## გიზო თავაძე — 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიზო ითხოვს ძე თავაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუვზანა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენ ძვირფასო გიზო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი შემოქმედის სამწერლო და მაულიშვილის და გილოცავებულ მწერალსა და მამულიშვილს და გილოცავებულ დაბადების 60 წლისთავს.

1980 წელს გაზეთ „ქუთაისიში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები და მას შემდეგ ქართველი სულიერების ემბაზში განხანილი თქვენი შემოქმედება მშობელი ქევენის სამსახურში და მის ნარსულს, ანმყოსა და მოვალეობაში იცავს.

თქვენი მრავალნობით და მოთხოვთ პირველი ლექსები და მათ შემდეგ ქართველი მწერალი, კინოსცენტრის მუზეუმში და მოგრაფიული საზოგადოების „იმერეთის სადროშის“. დადანახს მუშაობდით ქუთაისის კულტურის, სპორტის, ქარისკაცია





ანა ახმატოვა

## მიძღვნელი

მთაც ქედს იდრეკს წინ ამ დიდი ურვის,  
დიდ მდინარის მდინარებაც შეწყდა,  
თუმც მტკიცეა ციხის საკლიტურნი,  
მათ მიღმა მძაფრი შემორის სუნი  
და მტანჯველი სასიკვდილო სევდა.

ვიღაცისთვის მწუხრი განაზდება -  
ვიღაცისთვის ქრის საამო პრიზი,  
ვერ აღვიქვამთ დარის განსხვავებას,  
ღრწიალის ხმა გვესმის გასაღებთა  
და ხმაური ჯარისკაცთა ბიჯის.

ავდგებოდით, თითქოს გვექონდა უამნი,  
გაყვებოდით უკაცრიელ ქუჩებს,  
რიგში იდგა ცოცხალმკვდართა ჯარი,  
ჩანდა ნევა გახვეული ჯანდში  
და ვუსმენდით შორს მომღერალ ნუგეშს.

განაჩენი... ცრემლთა დენა მყისვე,  
გარიყვა და გამოყოფა ცალკე,  
გეგონება გული ამოძირკვეს,  
ან სხეული წააქციეს პირქვე,  
მაინც მიდის, მარტო მიძარბაცებს...

დაქალები სად მყავს უნებური  
სატანური ორი წლისა ყველა?  
რას ხედავენ იქ, ციმბირულ ბუქში?  
რას ლანდავენ ანდა მთვარის შუქში?  
განშორების სალმის მინდა შეთვლა.

\*\*\*  
ეს მე არა ვარ, სხვა იტანჯება.  
წელში გამწყვეტდა ეს სატანჯველი,  
დე, თავს დამტყდარი გლოვის ძაძებმა  
დაფაროს, ჩაქრეს, დაე, კანდელიც...  
დამე.

\*\*\*  
რა გადაგხდება თავს, რომ იცოდე -  
ოხუნჯს, ნებიერს ამხანაგების,  
„სამეფო სოფლის“ მხიარულ მცოდველს,  
რა განსაცდელი გელის განგებით -  
რომ მესამასე, გადასაცემით,  
რიგში იდგები „ჯვრების“ კარგბთან,  
ახალ წელს შენი მდუღარე ცრემლით  
ფერხთით ყინული რარიგ გალღვება.  
იქ სატუსალოს ალვა ირწევა,  
ჩქამი არ ისმის - მაგრამ რამდენი  
ალალ-მართალი სიცოცხლე წყდება...

\*\*\*

ჩვიდმეტი თვეა ვყვირი ხმამაღლა,  
მოგელოდები, გიხმობ მგლოველი,  
ფეხქვეშ გავეგე მრავალჯერ ჯალათს,  
ხარ ჩემი პირმშოც, თავზრის მომგვრელიც.  
ირგვლივ ბევრი რამ გადაიხლართა  
და აღარ ძალმიძს უკვე გარკვევა -  
ვის ვთვლიდე მხეცად, ადამიანად,  
დიდხანს ველოდო კიდევ მსჯავრდებას?  
მხოლოდ ყვავილნი მჭკარი, მტვრიანი  
და სასაკერვლის რხევის წერიალი,  
გზა და კვალია სადღაც არსათ.  
პირდაპირ თვალში მომაპყრო მზერა,  
მაღლი სიკვდილით დამემუქრება  
მიმოციაგე დიდი ვარსკვლავი.

\*\*\*

სწრაფად ქრის მჩატე მრავალი კვირა,  
ველარ შევიტყვე შენი ამბები -  
ძვირფასო ძეო, გიმზერდნენ ვითარ  
საპატიმრიში თეთრი ლამენი;  
ვით შეგცერიან ისინი კვლავაც  
მწველი, მშანთველი მზერით კაკაჩის,  
მოასავებენ შენს მაღალ ჯვარცმას,  
შენს გარდაუვალ სიკვდილს საკანში.

## მსჯავრი

მკერდს მიეხალა როყიო სიტყვა,  
მონახა გული ჯერ უბზარავი.  
არა უშავს რა, რადგან მზად ვიყავ,  
როგორლაც შევძლებ გავართვა თავი.  
  
დღეს უამრავი მომელის საქმე:  
მომინევს ხსოვნის ბოლომდე ჩაკვლა,  
ხამს, მოვემზადო სული გაქვავდეს,  
ცხოვრების სწავლაც მომინევს ახლად.

თორემ... ზეიმს ჰეგავს დარაბის გარეთ  
ეს შარიმური ზაფხულის ალხის.  
მე ხომ კარგა ხნის წინ ვიგუმანე  
ნათელი დღე და დაცლილი სახლი.

\*\*\*

ფრთამ მომიჩრდილა უგუნურების,  
სული დაფარა ნახევრად ჩრდილით,  
მისი ცოცხლოვან დვინით ვრწყულდები  
და ბნელ ხევისენ მიმიხმობს ხიბლით.

ცხადია, წასვლის უამმა ჩამოკრა,  
ხამს გამარჯვება ფეხქაშად მივცე  
და ყური ვუგდო საკუთარ ბოდვას,  
ვითარცა უცხოს სიმღერეს - ისე.  
  
ისიც ცხადია, ნებას არ დამრთავს  
თან გავიყოლო რაიმე ქვეყნის  
(არ გაჭრის მასთან ხვეწნა-მუდარა,  
გულს ვერ მოვულბობ თავის შეწყენით):

ვერც ხსოვნას შვილის დაზაფრულ თვალთა  
და მის წვალებას წავიღებ საგზლად,  
ვერც იმ დღეს - მეხმა რომ იგრიალა  
და ვერც ციხეში შეხვედრის საათს  
  
და ვერც სიგრილეს ძვირფასი ხელის  
და ვერც ცაცხვების მღელვარე ჩრდილებს,  
ვერც უივილ-ხივილს შორეულ ხმების  
და ვერც იმ სიტყვებს, რაც დამამშვიდებს.

თარგმნა ოთარ ცისკაძემ



## ჯუბა ლებელი

## შემოაღავდათ პოეტებს გზაში

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...  
ქარებს უდაბნოს სევდა მოჟეონდათ,  
ვით მწუხარება ლაშქართ მონღლოლთა  
და ლექსებს, თავის ჯვარს და გოლგოთას,  
ეზიდებოდნენ წიგმაში, ქარში.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ღვინის მსმელებს და სიტყვის დარაჯებს,  
უხვად გასცემდნენ, გულით ხარჯავდნენ,  
რაც კი გააჩნდათ, ხოლო დანარჩენს,  
ეძალებოდნენ ლექსებს, ვით ჰაშიში...

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ხან ქარი ქრიდა, ხან წიგმა ცრიდა,  
ხან ვარსკვლავები ცვიოდა ციდან  
და სიყვარული სიძულვილს ცვლიდა,  
დაჰქორდა ელვა მჭექარე მარშით.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ღამეს დილამდე ყანებით სვამდნენ,  
გამოიხმობდნენ სულეთის ლანდებს  
და თითო ლექსად ყიდიდნენ დარდებს,  
ფეხზე ეკიდათ დარდები მაშინ.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ცის მხურვალება მზესავით სწვავდათ  
და ელვარება წამწამთა, წამთა,  
ლექს აყოლებდნენ ღვინოზე წამლად,  
ხოლო მუსიკად - გალობას შაშვის.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

შეჩერებულებს მცხეთას თუ დიღმის,  
ათრობდათ ლექსი, ათრობდათ დვინო,  
ახსენდებოდათ არდოტი, ლილო,  
ადლეგრძელებდნენ შხარას და შატილს...

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ასე ტირიან მერე ნისლებიც,  
როცა მშობლიურ ქედებს ტოვებენ,  
სამშობლოს მხებით ვერ ვეზიდებით,  
სამშობლო გულით დაგვაქს პოეტებს...

ყველა სტრიქონში მზე და სისხლია,  
სხეულს სიტყვების მაღლით ვმკურნალობ,  
ვინც სიყვარულის ღმერთად მიხილავს,  
ქვეწად ეს ღმერთიც შენ ხარ უფალო!

## როცა მიყვარხარ მაშინ

ჩემს ლექსებს შენი სუნი სდის,  
როცა მიყვარხარ მაშინ,  
მკალავს შენთან ყოფნის სურვილი,  
გზაში, ქუჩაში, სახლში...

აღარც თამამი არა ვარ,  
აღარც ბაცვივით მორცხვი,  
მაგრამ შენთან ვარ, სადაც ვარ,  
მთელი სულით და ხორცით...

მიყვარს, როდესაც შენს თმებზე,  
თოვლი ფიფქებად ბარდნის,  
როცა მიყვარხარ, ჩემს ლექსებს,  
შენი სურნელი ასდის...

## პოეტი

ზოგი ოცნებობს წასვლას მთვარეზე,  
ზოგს ოქრო - ვერცხლი სცვივა ხელიდან  
შენ ერთი - ორი ლექსი დაწერე  
და თითქმის უკვე ბედნიერი ხარ.

ზოგს სრა - სასახლე ქოხად არ ჰყოფნის,  
ეცოტავება თვალშიც სამყაროც,  
ეს მიწა არის შენი სამყოფი,  
შენი ჯვარი და შენი სამთავრო.

დიდებულ წარსულს ფიქრში აღიდგენ  
და იცი, მხოლოდ რწმენა გიშველის,  
ასე იმედით ელი ხვალის დღეს,  
მუდა ღარიბი და ტანშიშველი.

შენთვის სიკეთე ცოტაოდენი  
და სიყვარული არის საკმაო,  
შენ ისე ჰქმინდი, როგორც როდენი,  
ქსოვდა ხელებით ზეცის კაბადონს.

## ავხაზებითი

ერთმა ქალმა ჩამიარა,  
ანგელოზა ჰევდა,  
მომაგონდა აჩიგვარა,  
კელასურთან ზღვა და...

მომენატრა აფხაზეთი,  
სატკივარი გულის,  
სოხუმელი ლამაზები,  
თრიმლის თაიგული...

სიყვარულის მწველი განცდა,  
სალოცავი წმინდა,  
ჩემი ისფერი ცა და  
ერთი გოჯი მიწა...

ის წუთები მისახსოვრე,  
მისი ცეცხლით ვენთო,  
ის ქალი და ის სამოთხე,  
კვლავ მანახე, ღმერთო !

## გაზაფხულის წვიმა

ენძელები ყვავილობენ უკვე,  
რა ძალა აქეც თოვლით ნაფენ მიწას,  
ხვალ იქნება ყველაფერი უკეთ,  
დღეს ქუჩაში გაზაფხული წვიმდა...

რახანია შევეჩვიერ ლოდინს,  
თებერვალი გააცილე მარტო,  
ყვავილივით გაზაფხული მოდის,  
მზის სხივით მიყვარხარ და გნატრობ...

გულზე შვიდფერ ცისარტყელას იბნევს,  
სიყვარული - სანთელივით წმინდა,  
დილით ტყეში გაეღვიძათ



## თემურ ცერცვაძე

### გავშვობის ეზო

პორიზონტებთან პირისპირ მდგომი,  
ვერ მოვიცლიდი თავის საშველად,  
ცხოვრება იყო ნერვების ომი,  
უპარაშუტო იყო დაშვება.

მიმაქროლებდა ოცნების რაში,  
გადაყოლილი სულის ზმანებებს...  
ნამით სიკვდილი ჩამხედავს თვალში,  
ხელს ჩაიქნევს და თავს გამანებებს.

მერე წყალ-წყალა დღეებით ვთვრები,  
ანთია ყინვის ლიანდაგები...  
და მტრების მიერ ნასროლი ქვებით,  
მე ჩემი რწმენის კედლებს ვაგებდი.

ხშირად მესმოდა სისინი გველის,  
საათის სრბოლა - განუწყვეტელი,  
არის სიტყვები - არაფრის მთქმელი,  
ვიცი დუმილიც - მრავლის მეტყველი.

წყველა და კრულვა ვერაფერს მავნებს,  
დროებითა ვნების სუნდები,  
მე ვეხუტები მზესავით ქალებს,  
სანამდე მიწას ჩავეხუტები.

ვისწავლე სიბრძნე ცეცხლის და ნაცრის,  
ბრძოლა - უხილავ რისხვის შარებთან,  
ყოველთვის ელის სასჯელი მკაცრი,  
მას, ვინც არაფერს არ აშავებდა.

ეჭ, სიყრმის წლებო! - მეყოლეთ კარგად,  
მეც დროსთან ერთად თქვენგან ნავედი,  
ადრე თუ გვიან - ყველაფერს ვკარგავთ,  
გვასველებს წვიმა - სასონარკვეთის.

თანდათან ვხდები მკაცრი და კუშტი,  
ჩამომაპერა ლამის ბოდვებმა,  
რა სიყვარულიც ბორგავდა გულში,  
ნუთუ არასდროს გამეორდება?!

გზები გაუზრბის წვიმების სეზონს,  
გზები, რომლებიც არასდროს არ მღლის,  
მიღმის ჩემი ბავშვობის ეზო,  
ჩამესმის ყეფა ერთგული ძალის.

სინანულს მაქვს სიზმრების ხორო,  
ტალღები - ჩემი სევდის და დარდის,  
სახლი, რომელშიც არავინ ცხოვრობს,  
ხიდი, რომელზეც არავინ დადის!

### ვენ

არ მინდა სიყვარულს გავექცე,  
გავახმო იმედის კვირტები,  
არ ვიცი, რას უნდა დაგპირდე,  
როცა შენ არაფერს მპირდები.

ყოველთვის ტკბილ-მწარე გემო გაქვს,  
ყოველთვის ლიმილით მაქეზებ,  
ჩუმად ხარ, როდესაც გეხბი,  
მკლავებზე, კისერზე, ბაგეზე.

არ ვნანობ, არაფერს არ ვნანობ,  
რაც იყო და უკვე არ არის,  
დარჩენილ სიცოცხლეს გაგიყოფ,  
დუმილსაც გავარღვევ სამარის.

ყირაზე გადადის სამყარო,  
ყირასაც ვიცი, არ მაკმარებს,  
შენ მართლა საჩემო ქალი ხარ,  
მაყვარებ სრულია და საქალეოს.

მე შენი სურნელი გამთიშავს,  
ჩაგვები სიგიუსი მდელომდე...  
მე ალბათ არ უნდა გელოდო,  
შენ მაინც ყოველდღე მელოდე.

მომენტებ, თვალები დახუჭე,  
შენს მხრებზე მიდნება ხელები,  
ჩემს სულში ზღვასავით ლივლივებ,  
მერე მეც ზღვასავით გეხლები.

არ მინდა უაზრო ფიქრები,  
გააქერე უაზრო შიშები,  
ეჭვები ყველაფერს აფუჭებს,  
ვგრიდები, ვინგრევი, ვიშლები.

თავს მაინც ვერასდროს ვიკავებ,  
მეშლება ცხოვრების წესები,  
ვიცი, რომ ყოველთვის მპატიობ  
და მეც შენს ფეხებთან ვეცემი.

დაქანდა სინათლის ბილიკი,  
გადაყვრი წაგებულ კამათლებს,  
სიყვარულს ვერაფერს ეუხერხებ,  
მამართლებს... მამტყუნებს...  
მამართლებს!

ბედი მაქვს, რომ მაინც არსებობ,  
ახლა სულს შენს თვალნინ დავლევდი  
და რასაც სიტყვებით ვერ ვამბობ,  
უსიტყვოდ აფრქვევენ თვალები.

### დეკამერის ღავ

ახლა ისეთი შუაღამეა,  
როდესაც ცეცხლი მოაქვს სიცივეს,  
ჩემს სულში უკვე კარგახანია,  
მოგონებებმა ღრმად მიიძინეს.

და ჩემს ეზოშიც კარგახანია,  
მინას დაეცა ბოლო ყვავილი;  
ზუზუნებს ქარი და უხარია  
ზამთრის დადგომა - გარყვნილ ქალივით.

ცარიელ ქუჩებს ვედიდგულები,  
უმონყალოა დღესაც ამინდი  
და გაშიმულებულ ხებს გულები  
უფეთქავს - მზისგან ამონარიდი.

ვიცი, ბევზე ვარ გადარჩენილი,  
ჩრდილები ყინვას გაუშოლტია,  
გიზგიზებს ცეცხლი - განაჩენივით,  
ხოლო დუმილი - ეშაფოტია.

...და რადგან ნებას მივუშვი - ნამსვე,  
განცდის სიტკბო თუ ვნების სამსალა,  
ღვთის რისხვასავით დამატყდა თავზე  
და სულის მოთქმა არ დამაცალა.

ვხედავ, ცხოვრება თავის გზით მიდის,  
ვხედავ, გრძნობები გამიტყიურდა...  
ვინ გააშიშვლებს საკუთარ სინდისს,  
რომ ახარხარდეს, როგორც იუდა?

სანამ ქარები კედლებთან მტოვებს,  
ვიყო მარტო და ვიყო უჩინო,  
ოლონდ ჩამოვხსნა ნიღბები მსტოვრებს  
და სიფათები გამოვუჩინო.

კედლის წინ ვარ თუ კედლის უკან ვარ,  
ვერ ჩაგიზუტებ გველის წინილებს,  
მარტო ის მიყვარს - ვისაც ვუყვარვარ  
და ვინც თვალებში შემომციცინებს.

ცას თუ ბნელების ტალღა ეტაკა,  
რა ლაჟვარდები გასაპეტაკებს?!  
ცხოვრება იქცა ერთ დიდ სპექტაკლად  
და დაეკარგა ფასი სპექტაკლებს.

ნაბიჯების ხმას პირისპირ შევრჩი  
და წყვდიალ ვჩუქუნი სულის ჩირაღდნებს...  
რაღაც მეტური იღვიძებს ჩემში,  
როცა ზედიზედ არ გამიმართლებს.

### უფლის კარებთან

როგორც ლულაში გარჩენილ ტყვიას,  
გულს აუხსნელი ადევს ურდული,  
ყოველ დღეს ჩემგან რაღაცა მიაქვს,  
ყოველი დღისგან ვარ გაქურდული.

და თუ უამთასვლა სიცოცხლეს კვეცავს,  
მზით ანთებული ღრუბლებით ვთქები...  
რა ტკივილამდე ლურჯია ზეცა,  
რა სიგიურდე შორია მთები.

ზეციდან ღმერთი სიყვარულს აფრქვევს,  
მინიდან ვნების მესმის გუგუნი,  
მე ვნატრობ ზღვას და თოვლისფერ აფრებს,  
ქალაქის მტცერში გამოგუდული.

სიზმის ბალიდან გამომაქვს ფრთხილად,  
ქალის კოცნა და გულის ფართხალი  
და წვიმის წვეთში იღვიძებს დილა,  
ბაგშების ცრემლივით ალალ-მართალი.

ქალწულის დელვა ნაპირებს ცდება  
და ცხოვრებისთვის უკვე მზად არი,  
სად გაექცევა ტალღების ვნებას,  
ჩამოვარდნილი ხიდან ზამთარი?!

წალებულია ღამის ხიდები,  
დატბორილია ცისკრის ველები...  
ამ წუთებს მართლა გავუფრთხილდები,  
ამ წუთებს მართლა ვერ შეველევი.

მელირსა ერთი გამოდარება,  
ერთი პატარა აურზაური  
და ახლა ვდგავარ უფლის კარებთან,  
როგორც პოეტი და მოგზაური.

### ცეტა გან

აღარ მაღავ სახეს - ცრემლით  
დანასველებს,  
მოლოდინის გამართლებამ შევებით გაძლია,  
ნეტა შენ, რომ სიყვარული არ გასვენებს,  
ნეტა შენ, რომ გაგიუბა შეგიძლია.

მომატყუე, რომ არ დავრჩე ქვეყნად მარტო,  
რომ ეს წვიმა სიყვარულის შეფეხია,  
მომატყუე, რომ შენს სუნთქვას სხვას ვერ  
ანდობ, რომ შენს გულსაც სხვა არავინ შეხებია.

მომატყუე, რომ ხარ ჩემი საპატარძლო,  
ახლა ღამე უსიზმრებო ნაბადია,  
ამ ტყუილით ცოტახანი იქნებ გავძლო,  
ამ ტყუილით შენი თავი მაბადია.

ნეტა შენ, რომ სანთლით გეძებ, როგორც  
წამალს,

ან მომკლავ და ან მომარჩენ - ტკივილიანს,  
ეს ცხოვრება უშენდაც მალე ნავა,  
ეს ცხოვრება უცრემლოდაც ტირილია.

მინდა ბედი მიღიმოდეს არამარტო,  
მინდა შენი მეფე ვიყო და ლაქია,  
ნეტა შენ, რომ შენს ნებაზე დანავარდობ,  
ამას უკვე თვითნებობაც აღარ ქვია.

ნეტა შენ, რომ ყველაფერი წინ გაქვს  
ვერაც,  
შენთვის ახლა მთების დაძვრაც ადვილია,  
მიყვარხარ და რა თქმა უნდა - შენი მჯერა,  
მაგრამ ჩემი ქარავანი - ჩავლილია...


### სამსევრალოზე

(9 აპრილის გამოძახილი)

თავისუფლების ნატვრა დღესაც მიჯდება  
ძვირად,  
ძვირად მიჯდება ლოცვის წამები,  
მტერს ჩემთან ბრძოლა მაშინ უყვარს,  
როდესაც მძინავს და ძილში წარსულს ვეხმიანები.

ყველა ავაზას საკუთარი რწმენა  
ამართლებს  
და უნდა ჩემი სისხლი დალიოს,  
მკლავნ და ვმდერი! - რომ სიმღერით  
ვძლიო ჯალათებს,  
მკლავნ და - ტაშით ვხვდები ალიონს.

ტყვიების მეტე ბედისწერა ყველილებს  
მესვრის,  
ლირს სიყვარულის უფსკ



## ნომადი ბართაია

## იუსტიციის სახლთან

ირევა რატომ  
აქ ასე უცხო,  
მიზეზი ამის  
ნეტა რა გახდა?

დედაქალაქში,  
დღისით და მზისით,  
რა ხდება  
იუსტიციის სახლთან?

გამაგებინეთ,  
რა ხდება ჩვენ თავს,  
გამაგებინეთ,  
ანუ ჰერავს ეს რას?

ვასხვისებთ როგორ,  
თუ კი გვაქს რამე,  
უძრავს და მოძრავს,  
ყველაფერს ერთად.

არ მჯერა, მაგრამ  
ცხადია ცხადზე,  
რომ ჩვეულებრივ  
ეს ამბად იქცა:

ვყიდით და ვყიდით!  
ვყიდით და ვყიდით!  
გოჯამდე - ბოლო  
მშობლიურ მინა!

რა ხდება, ხალხო!  
რა ხდება, ხალხო!  
არ კმარა ნუთუ,  
ნუთუ არ კმარა!?

მამა-პაპათა  
გაპოხილს სისხლით  
მივართმევთ ლანგრით  
მინას ვის არა!

თანაც რომ ყველას  
უდიმის სახე,  
ღიმილით ეგზომ,  
თან გულში მწვდომით,  
  
გადაფორმება,  
ხდება აქ ყოვლის  
მომსახურების  
უმაღლეს დონით!

მომსახურების  
უმაღლეს დონით,  
ვყიდით და ვყიდით,  
ყველფერს ვყიდით!

საქართველოში  
მკვიდრდება სხვა და  
მისი მკვიდრი კი  
აქედან მიდის!

აქ გაიგონებ  
საუბარს ყველა  
ენაზე თითქმის -  
ქართულის გარდა,

იუსტიციის  
კი არა - სახლის  
ყოფნა-არყოფნის  
მე ვდგავარ კართან!

არ ვიცი, როგორ  
მოვიქცე ახლა,  
როცა საკუთარ  
თავს ვეღარ ვიცავ,

როდესაც თავზე  
მემხობა ცა და,  
როდესაც ფეხევეშ  
მეცლება მინა!

თხოვნა მაქს ერთი,  
სამშობლოვ ჩემო,  
იქნებ, პასუხის  
გამხადო ღირსი:

ვით გახდი სხვისთვის  
კარგი ასე და  
ჩვენთვის -  
ასეთი აღმძვრელი ზიზლის?

\*\*\*

ო, როგორ მიყვარს ჭერმების ჯარი,  
ბევრჯერ რომ ფიქრით  
თან გამიყოლებს,  
გადასავლებად მე მათზე თვალის,  
საგარეჯომდეც ჩავსულვარ ხოლმე.

დამიგვიანდა თუ ნახვა მათი,  
თითქოს და ალარ გადამდის ლუკმა,  
ო, როგორ უყვართ მათ გზისპირები,  
მათ გზისპირები ო, როგორ უყვართ.

\*\*\*

გხსომებია,  
მერე როგორ,  
ჩაგრჩენია  
როგორ გულში,  
  
სპორტის სასახლესთან  
ერთი,  
რომ ჰყვაოდა  
დიდი ნუში.



## ეთერ ზარიძე

## ჰეროდი

ჩვენში ისევ კლავს აბელს კაენი,  
ყოველ ნაბიჯზე სისხლის ღვარია,  
შენს ნილხვედრ მინას ძალიან უჭირს,  
მიეპატრონე, წმინდა მარიამ!  
მინდა ქართველი თავის მამულში  
ისევ მშობლიურ ჰანგზე მღეროდეს,  
მაგრამ იმედი დაკარგულია,  
რადგან ქვეყანას ებრძვის ჰეროდე.  
ნუთუ ქართველი ნანატრ ოცნებას  
ვერ აისრულებს ჩვენში ვეროდეს?  
როგორ დაგვჯაბნა მტერმა მაცდურმა,  
რა თავისუფლად დაპქრის ჰეროდე,  
რადგან ქვეყანა განსაცდელშია,  
სასანაულების მინდა, მჯეროდეს,  
რომ გაიმარჯვებს ქართველი ხალხი  
და დაამარცხებს ბოროტ ჰეროდეს.

## თოვლის სონატი

დეკემბერმა მიძღვნა თოვლის სონეტი,  
ჩემმა ფიქრმა შენს სარკმელთან

დაივანა...

სიყვარულის მახარობლად მოვედი,  
მაგრამ თვალი ისევ ცრემლით დაინამა.  
ოცნებები ცრემლის ზღვაში გაირიყა,  
ვერ გითხარი რადგან ჩემი სათქმელი,  
მაგრამ, კარგო, თითქოს შენთვის  
უცხო ვიყავ,  
ისე ცივად მომისურე სარკმელი.  
ქარმა გვერდზე გადახარა ხეები,  
გაშმაგებით კვლავ გულისსნორს  
უხმობს,  
როგორ გაქრა საოცნებო დღები,  
ჩვენი გზებიც გაიყარა უხმოდ.

რა ვუყოთ თუ ფიქრები ვერ თმობდა  
ნაბლისფერ თმას და თაფლისფერ  
თვალებს.  
განშორების სუსხით დაზაფრულმა  
მძიმე წლებმა გაირბინეს მაღა...  
ოცნებებში ისევ გაზაფრულდა,  
ტკივილები გულში გადავმაღა.

## მეცლად დაცოვა

ამედევნება განუყრელ ჩრდილად  
სულის ტკივილი და სიმარტოვე...  
ტკბილი წარსულის ლამაზი დილა  
გაფრენილ წლებთან მძევლად  
დავტოვე.  
გამეფებულა ყვითელი ფერი,  
კარს მომდგომია მკაცრი ზამთარი  
და ამაოა დღეს ყველაფერი,  
სიბერე მოდის, როგორც აფთარი  
ვიცი, რომ ჩემი ბედის მწერალი  
ჩუმად მიმზადებს დანას ალესილს,  
ჩამქრალა ნანატრ თვალთა ჩქერალი,  
ქარს გაჰყოლია ძველი ალერსი.

## უზეობის მარათონი

უზნეობის მარათონს  
თვალებს უმალ ვაცილებ,  
გულმა როგორ გაუძლოს  
ამ ბილწებს და მაცილებს.  
ქართველების ზიზლით და  
სიძულვილით აცრილებს,  
აცდენილებს მიზნიდან  
ზნეობისგან დაცლილებს.  
ხალხს მშერს და დავრდომილს  
სისხლის ცრემლი აწვიმეს,  
საქართველოს ქონება  
ურცხვად გაინაწილეს.

## თელთა სიმრავლე

ჩამოიმარცულა წელთა სიმრავლე,  
დრო წუთ-წამების ისრით დათვლილი  
და ახლა გულით ტკივილად დამაქვს  
ტკივია, სიბერის ხელით დახლილი.  
მახსოვს წარსულის ლამაზი ლანდი,  
მზის ელვარება ფიქრში ჩაღვრილი,  
რომ არ ვიცოდი, რა იყო დარდი,  
ან არსებობა წლებით დაღლილი.  
მახსოვს დღეები, ტკბილიც და მწარეც,  
ღიმილი ხშირად ცრემლში გაცვლილი,  
ახლა კი მაკრთობს წელთა სიმრავლე,  
დრო წუთ-წამების ისრით დათვლილი.

\*\*\*

## ფიცილები გულში გადავალე

ისევ ზამთრის სუსხი დათარეშობს;  
თოვლის ფიცქით დაფარულა მთები,  
რა ვქნა, თუკი ლამაზ წარსულს ვერ  
ვთმობ,  
თუ ოცნების გამოვისხი ფრთები.  
თეთრი თოვლის სისპეტაკე ჰქონდა  
სიყვარულით შემონთებულ ალებს,

ალარ მოელო ბოლო  
ქვეყნის უდღეულ ყოფას,  
ველარ ველირსეთ დროს სასურველს,  
ღირსეულს, ძვირფასს,  
ისევ გრძელდება  
შიმშილი და შეურაცხყოფა,  
ბოდლერი ისევ  
„ბოროტების ყვავილებს“ ძირკვავს.



## საღამო გურიაში

დღე შინდისფრად ჩაიფერფლა,  
ცივი სევდა სისინებს.  
ჰორიზონტმაც მოიწყინა,  
მზე ჩაბრძანდა, იძინებს.  
უდარდელად გალობს შაშვი,  
ნეტავი შენ, ჩიტუნავ!  
ნეტავ შენი გული მომცა,  
შენსავით მაჟდურტულა!



## გულიკო ჩხაიძე

## საქართველოს

მაპატიე, რომ ვერ გაგიმართლე, რომ ვერ ავზიდე ტვირთი ქალური, ვერ გაგიზარდე შეიდი ვაჟაცი, ვერ ვუგალობე იავნანური. შენ ასე გიჭირს და მე ვერ გშველი, როგორ გავუძლო შენს ტანჯულ მზრას?! ო, როგორ გტკივა ეგ ჭრილობები! დაგირიქებ და სულს შეგიბერავ... შენს იარებით დასერილ მკერდზე ჩუმად კვნესიან სველი ფოთლები... თურქ-სპარს-არაბი, ინდო-ჩინელი რა მედიურად დაბიჯებენ! ჩაივლის შენი შვილიც გულგრილად, გასაქცევს ეძებს, სივრცეებს ზვერავს... თვალს გააყოლებ, გაფიტრებული... გონს ვერ მოეგო ვერა და ვერა. მომეცი შენი ძალტყავა ხელი, გულში ჩაეყირა, ცრემლით დავალტო! სიცოცხლევ ჩემო, მინა გამისკდეს, თუ მიგატოვო, თუ გიღალატო!

## გახმარო

დაიბურე ნისლებით, ნისლები აღარ ჩანხარო, ჩემო ტკბილო ბავშვობავ, ბახმარო, ბახმარო... კვარო, ისევ ენთები? კვლავ გიზგიზებ, ლამპარო? არ ჩამიქრე, ბავშვობავ, ბახმარო, ბახმარო... ნაძვებში მიმალულო, ბავშისწყალო მჩქეფარო, შენთან დამრჩა ბავშვობა... ბახმარო, ბახმარო... შემინახე ის წლები, ჩემი ყრმობის ზღვაპარო, ნისლებში ჩაძირულო, საოცნებო ბახმარო!

\*\*\*

უნდა გავექცე უსახურ ყოფას, უნდა თავიდან აღმოგაჩინო, უნდა დავადგე თოვლიან გზებს, სპეტაკ სუდარზე მოვარე გვერდით კვლავ დავაწინო... უნდა გამოყვევე გრძელ ბილიკებს ლალი მთებისას, ჩემი სიზმარი გადავარჩო, უნდა გადავარჩო, უნდა გეძებო, უნდა გიპოვო, უნდა გიპოვო, უნდა ხელახლა აღმოგაჩინო!

## სტუმარი

ფერნასული და მუდამ მდუმარი, ისევ მეწვია ჩემი სტუმარი ... ხერხემალს ბზარავს ჩამონალვენთი სულის წუხილის ... და ყველაფერი არის სულერთი და ყველაფერი არის ტყუილი... ფერნასული და მუდამ მდუმარი, თავდახრილი ზის ჩემი სტუმარი.

## სახალისო...

მომნიშნე ნიგნში ლექსივით, ჩამკეცე, როგორც ფურცელი, მე ისევ შენით შეშლილი, ოცნებებშიც კი უცვდელი... ნამიკითხე და გადადი, ისე ვერც დამიმახსოვრე, რამდენი ფიქრი გაჩუქე, შენ ერთიც ვერ მისახსოვრე... სადღაც ღრუბლებში დაფრინავ,

ასე მოწყვე სამყარო, თამაშობ მთელი ცხოვრება, ღმერთმა ცოდვები გატაროს... მებრალები და თუ გდარდობ, გზაბენეულს და დაკარგულს, სიყვარული არ გჭირდება, ჰგავხარ მინაზე დაფანტულს... მინდა სულ სხვა დღე გათხოდეს, ლექსით და კოცნით თვრებოდე, მერე ძილის წინ თითებით, გამლილ თმებს ეფერებოდე...

\*\*\*

## მაია ხოფერია

თუ ამ ზამთარს უშენოდ... თეთრ ლარნაკში ჭკნებიან, თეთრი ქრიზანთემები, დამე ისევ ატირდა, შენით განათენები... მე დარდი შემატოვე, სხვები შენით ტკბებიან, ჩემს ლექსებში რითმები, უმოწყალოდ კვდებიან... ნვიმა ფანჯრებს ასველებს, გაიძარცვა იელი, შენს სიყვარულს რად მართმევს, ვიღაც გადამთიელი... ეტრფი, თვალებს უკოცნი, გრძნობებს უდებ კალთაში, ყველაფერი ყალბია, ყველაფერი თამაში... გული ავად გამიზდა, ცრემლი ღანკები, გახსოვს? შენ რომ გტკიოდა, კოცნით როგორ გიშეველე... თუ ამ ზამთარს უშენოდ, გადავიტან, გპირდები, გაზაფხულზე, ძვირფასო, მართლა არ დამჭირდები... თუ ამ ზამთარს გავუძლებ, სიყვარულიც მშოდეს, მერე არ დაგიძახებ, თუნდაც სულშიც მციოდეს... მერე რა, თუ გამწირეს, შენმა თბილმა თვალებმა, ის ლამაზი დღეები, როგორ დამენანება... როგორ მომენატრება, შენი თეთრი თითები, გწერ, გიმეტებ და მაინც უსაშველოდ მჭირდები!

## უბრალოდ...

შენ მე არაფერს მწერ, არც ჩემსკენ მოჰყვები გზას, მაინც არ ვემდური ბედს, როცა ასე ახლოს ხარ... ნუთუ არ გიყვარვარ სულ, არც ბედისწერის გწამს, მე შენთვის დავლევ სულს, ფიქრშიც არ ვკარგავ წამს... მოდი, უწამლე გულს ღიას გიტოვებ კარს, შენი მოფერება მსურს, შენი მონატრება მკლავს...

\*\*\*

გულს ვუთხარი, დაგივიწყო უნდა, რადგან ჩემთვის გენანება ბწერიც, ასეთი ვარ, ვიბუტები მუდამ, შენს ნაფერებ თმებს მიწერავს ქარი... მე ვიხსენებ, იმ ბედნიერ წუთებს, თბილი სუნთქვარომ მისნიდა ფილტვებს, უპაროდ მითხარ როგორ გავდლო, როცა ამ წამს უშენობა მიტევს...



## ნანა ცინცაძე

### არა-მეთქი!

არა, არ გელოდი, არა-მეთქი!  
ანდა ვინ ჩაგთვალა მოსულად.  
გული კენტად დამრჩა განახეთქი,  
სული — ზნედაცემულ ორსულად.  
თურმე ლამე ისე გაილია,  
სიზმრის ბოლოშიც არ იყავი.  
ცხოვრება ნახევრად გავლილია,  
რატომ გვასულელებს იმ ყავით,  
სადაც დანალექზე ირეცხება  
ეგ სახე, ურჩი და თავნება.  
თითქოს ყინვისაგან ივერცხლება  
ის, რაც არასოდეს მთავრდება.  
მაინც დავაჭენებ ჩემს სურვილებს,  
უბელო, ურა კვიცს ვენდობი.  
დაგტოვებ შენს ვნებებს შემუსვრილებს,  
ნება აღარა მაქვს შენდობის.  
მინდა და მოგიჭრ ჩემს მარწუხებს,  
მერე სხვანაირად მოგდრეკავ...  
მერე კოცნებით რომ შემაწუხებ,  
ბოშებს გასართობად მოვრეკავ.  
მერე დავივიწყებ სად ვიწყებით,  
ციდან დაეშვება ქორალი.  
მერე ერთურთში რომ დავიწყებით,  
თვითონ მიგვატოვებს მორალი.  
უარს აღარ გეტყვი, არა-მეთქი!  
მინდა, რომ ჩაგთვალო მოსულად,  
გული რომ არ დამრჩეს განახეთქი,  
სული — ზნედაცემულ ორსულად.

### თუ შემადარებ

არ შემომხედო სახეზე,  
ეს ნიღაბია ფარად.  
ჩამოვაფარე სარკეზე  
ფარდა, ვუალის დარად.  
რატომ უყურებ ჟამთა სელას,  
ანდა წლებს რატომ მითვლი.  
შავ ფერზე მინდა გადასვლა,  
დავალ ხასხასა წითლით.  
ცაში შევარი კამარა,  
მთვარეს ვუტოვებ სურვილს.  
დღეს არაფერი არ კმარა,  
ოცნებას ვხედავ გულგრილს.  
ხელში მიჭირას სამყარო,  
სიყვარულს ვაცლი ფურცლებს.  
სული რამ უნდა დაღალოს,  
გული თუ ტკივილს უძლებს.  
ამ ნიღაბს ფარად ვატარებ,  
შენ ვერ გაიგებ ვინ ვარ.  
ვერ ვადამიჭერ არტახებს,  
მე მთელ სამყაროდ ვლირვარ.

### შეცდომაზი

შემიცვალეს ბედისწერა,  
სხვისი გზებით ვიარები,  
სხვამ ჩემი მზე შეიფერა,  
მე კი მისი იარები.  
ვინც აკვანი დამირწია,  
ვინც მეგონა დედაჩემი,  
მისმა ლოცვამ არ მიწია,  
ალბათ იყო განაჩენი.  
ბედმა და-ძმაც შემიცვალა,  
ვერსად ვპოვე ჩემი მსგავსი,  
სულში ეჭვი შეითვალა,  
ყველაფერი არის ფარსი.  
ამერია დაწყობილი  
ფიქრები და აზრთა კონა,  
რომ მეგონა ჩემი იყო,  
სხვისი ქმარი ჩამეკონა.  
ვუყურებ და ვერ ვიცანი  
შვილში ჩემი სისხლის წვეთი,  
როცა თავის მოკვლა ვცადე,  
ჩემს მხარეზე დადგა ღმერთი.  
ბედისწერამ გაიმეტა  
ჩემთვის სხვისი იარები,  
მისთვის ცაზე მზე აანთო,  
მე გოლგოთით ვიარები.

### კანტავრი

ჩემი ცხოვრების ეტლში  
მეტლე მე ვარ თავად  
და უხედნელი კვიცით,  
ვგავარ თაენება თავადს.  
კვლავ გავაქროლებ მერანს,  
არ შემაწუხებს ხორცი,  
კარგად გაიგეთ, მე ვარ...  
უნდა დაგიპყროთ ლოცვით.  
ჯოჯოხეთის კარს ვკეტავ,  
ეტლში შებმული ცხენით,  
ალბათ, მოვგავარ კენტავრს,  
მზისენ მივდივარ ფრენით.  
ამ წუთისოფლის ეტლში  
ვარჩევ ქარდაქარ წანწალს  
და უხედნელი კვიცით,  
საითაც მინდა წავალ.

### თუ

თუკი ფიქრები ითვლიან დარდებს,  
წლები ყოველთვის თუკი ტვირთია.  
შხამის ფიალას ჩამოვატარებ,  
თუ დაბადება მხოლოდ მითია.  
თუ დაკარგული ფოლიანტები,  
არ გადაშლიან წარსულის ფურცლებს,  
თუ ბიბლიური გოლიათები  
დაპატარავდნენ ჩემს თვალში უცებ...  
თუ გაფერმკრთალდა წმინდა სამება,  
უძლები შვილი კვლავ იწყებს კამათს,  
თუ ტყუილია აბოს წამება  
და შუშანიკი ვარსექნს სწერს ბარათს.  
თუკი ალერსი უზნეო ხიბლით,  
ვაგლახ, გამხდარა ცხოვრების ნორმა,  
თუ გველმა ისევ გვაჯობა სიბრძნით,  
უნდა დავტოვოთ სამოთხე ორმა.  
თუკი ფიქრები ვერ კლავენ დარდებს,  
წლები ყოველთვის თუკი ტვირთია,  
მე ქვესცნელიდან მოვუხმობ ავდრებს,  
რადგან ყოველი ქვეყნად მითია.



### დალილა ბედიანიძე

\*\*\*

ნუ მომკლავ, კაენ! მე ძმა ვარ შენი,  
მე ხომ ვარ შენი სისხლი და ხორცი  
და სიძულვილი შენ არ შეგშვენის  
მსგავსი იუდას ამბორის - კოცნის.

ნუ მომკლავ, კაენ, და გაისსენე,  
ბავშვობა ერთად გვიტარებია,  
დავაჭენებდით უბელო ცხენებს  
და შევხაროდით შავ მზეს ვნებიანს.

ნუ მომკლავ, კაენ, დაუშვი ხელი,  
ხელი, რომელიც აღმართ ჩემზე!  
ღმერთმა გალობით აგივსოს ყელი,  
შენი მოსმენა დე, არ მომბეზრდეს.

ნუ მომკლავ, კაენ, ჩვენ ხომ ისედაც  
ცოტა ხანს ვცოცხლობთ, მივდივართ მალე.  
ჩვენ ხომ ერთი გვყავს მამაც და დედაც,  
აქა ვარ, შენს წინ, არ დაგემალ!

ნუ მომკლავ, კაენ, ძმის სიყვარული  
გიბრძანა ღმერთმა და დაუჯვერე!  
ვცდილობ, ცოდვისაგან გიხსნა ბედკული,  
მაგრამ ვაი, რომ ვერ შეგაჩერებ.

\*\*\*

იყავით მშვიდი, ვითარცა მტრედი,  
როგორც ბუდეში მჯდომი მერცხალი,  
დასჯერდი, რაც კი გერგუნა ბედით,  
ჭიქა წყალია თუ წაკვერჩალი.

იყავით მშვიდი და ქარებს შეხვდით  
შეუდრეველი, ქედმოუხრელი  
მინაზე მაგრად დაადგით ფეხი,  
როგორც უძლებენ გრიგალს მუხები.

იყავით მშვიდი, როდესაც გიყვართ,  
იყავით მშვიდი, როცა შორდებით!  
ცხოვრებას ყველა თავის გზით მიჰყავს  
და ყველას უნევს თავის ცოდვები.

იყავით მშვიდი, ნეტარ არიან,  
ემორჩილება ვინც უფლის ნებას,  
ვინც მზეს შეხარის და უხარია,  
რომ გულში მძიმე ყინული დნება.

იყავით მშვიდი! ბედინერია,  
ვინც მოიპოვა სიმშვიდე სულის,  
მიდიან წლები, მოიმდერიან  
და აგვისრულებს სულ ბოლო სურვილს.

იყავით მშვიდი, ვითარცა მტრედი  
და შეძლებთ ზეცის კარის გაღებას,  
უფალს მიანდეთ ეგ თქვენი ბედი  
და ნურაფერი ნუ გენალვლებათ!

\*\*\*

დიდი ხნის შემდეგ ჩვენ ისევ შევხვდით  
და ერთმანეთი ძლივსლა ვიცანით.  
თავზე დაგვატყდა რამდენი მეხი,  
ბევრჯერ გაიპო გულის ფიცარი.

რამდენი რამე გადავიტანეთ  
და გავუძელით მანიც ცხოვრებას.  
ახლაც დალენილს ვხედავთ გიტარებს,  
მათი ხმა რომ არ განმეორდება.

და ერთმანეთის თვალებში ვხედავთ  
შიშას და ტკივილს გაჩუმებული,  
ბევრრამეს ვტედავთ, ბევრსაც ვერ ვტედავთ  
კვლავ ძველებურად შეყვარებული.

ჩვენი ხელები ერთმანეთს შეხვდნენ,  
ჩვენი გულები ისევ ანთია  
და განვლილი დრო გვკიდია ფეხზე,  
დღე - ბორკილები მხოლოდ ჯართია.

დადგა ნანატრი თავისუფლება,  
რისთვისაც ორივ მუდამ ვიბრძოდით  
და პოეზიის ქვეყნად სუფევა  
მოვა მომცემი მუდმივ სიცოცხლის.

დიდი ხნის შემდეგ გიყურებ თვალში,  
მე შენ გიცანი ისევ თვალებით  
და ქარიშხალი ჩაივლის მარშით  
და თან გაყვება დრო მნუხარების.

\*\*\*

ძალიან მიკვირს, როგორ ძლებენ  
თევზები წყალში, ძალიან მიკვირს.  
ძალიან უკვირთ თევზებს, როგორ  
ვძლებთ ჰაერში,

ძალიან უკვირთ,  
ძალიან მიკვირს,  
როგორ დაფრინავენ ჩიტები,  
ძალიან მიკვირს.

ძალიან უკვირთ ჩიტებს, როგორ ვერ  
დავფრინავ,  
ეს ხომ ძალიან იოლია,  
ძალიან უკვირთ,  
ძალიან მიკვირს,  
როგორ ძლებენ ხეები ერთ ადგილას,  
როგორ არ დადიან,  
ძალიან უკვირთ ხეებს, რატომ არ

ვდგავართ,  
ერთ ადგილზე რა დამატარებს,

ძალიან უკვირთ  
და ჩვენ ყველანი  
გაკვირვებული ვუყურებთ ერთმანეთს  
და ერთმანეთის გაკვირვება  
გვაკვირვებს.

ძალიან გვიკვირს ერთმანეთის,  
ძალიან გვიკვირს.

\*\*\*

რა გაათენებს ამხელა ღამეს,  
ღამეს, რომელიც ჩემს მხრებზე გაწვა?  
ვითვლი საათებს და ვითვლი წამებს  
და ბნელში ვეძებ სინათლის მარცვალს.

თუმცა ეს ღამე არ არის თეთრი,  
თეთრად ვათევ და ცრემლები მახრიბს  
და ერთი სხივი - ბასრი და მეგეთრი  
ღამეს მრაპობს, როგორც ყაყაჩო.  
ერთხელ იქნება, რომ გათენდება!

რომ გათენდება, მაგრამ ო, როდის?  
და ბნელში უხმოდ თმები თეთრდება  
და ფეხაკრეფით სიბერე მოდის.  
მძიმეა ღამე და მიჭირს ზიდვა,  
არავითარი დამხმარე არ ჩანს,

არ შეიძლება იაფად ყიდვა  
იმისი, რაც კი ძვირფასი დარჩა.  
რა გაათენებს ამხელა ღამეს,  
უმთვაროსა და უვა

## პოვანეს თუმანიანი - 150

თბილისში პოვანეს თუმანიანის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები დაიწყო.

2019 წლის 19 თებერვალს, პოვანეს თუმანიანის თბილისის ყოფილ ბინაში, სადაც ამჟამად საქართველოს სომხეთა კარექის „პოვანეს თუმანიანის სახლი“ სამეცნიერო, კულტურული ცენტრია, საზემოდ დაწყო ყოველთა სომხეთა პოეტის დიდებული 150 წლის საიუბილეო დღესასწაული.

სტუმარითმოყვარე ამ სახლში კვლავ ხალმრავლობა იყო. თუმანიანის სახლმა უმსაპინძლა თვეების წინ საქართველოს სომხეთა კარექის წინამძღვრის, მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის თავმჯდომარეობით შექმნილ რეგიონულ სათემო საიუბილეო კომისიის წევრებს, სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ერჩის საქართველოში რუბენ სადოიანს, საელჩის დიპლომატებს. თბილისიდან პირდაპირი კავშირი დამყარდა ერევანთან, ასევე დასელთან სადაც პოეტი დაიბადა, და სადაც ასევე სადღესასწაულო ღონისძიებები ტარდებოდა.

თუმანიანის სახლის ტრადიციის თანახმად, სტუმრები ჩაის სუფრასთან შეიკრიბნენ, რომლის შემდეგაც საქართველოს პარლამენტის დეპუტატების, დავით ჭიჭინაძისგან „პოვანეს თუმანიანის სახლი“ ცენტრისთვის ნაწუქარი ყოველთა სომხეთა პოეტის ბრინჯაოსეგან ჩამოსხმული ქანდაკების გახსნას დაესწრენ.

გასული წლების მსგავსად, წელსაც, პოეტის დაბადების დღეს, საქართველოს სომხერი თემის წევრები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, სკოლის მოსალებები ენვიონენ თბილისის სომები მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ხოჯივანების პანთეონს, სადაც მათ შეუერთდნენ სომხეთიდან ჩამოსული სომხეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მრჩეველი არუსიაკ ტერჩანიანი, სომხეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მრჩეველი არუსიაკ ტერჩანიანი, ახლო დიასპორასთან კავშირების განყოფილების ხელმძღვანელი ტარონ შაგოიანი, საქველმოქმედო კავშირის „ჯავახეთის დახმარების ფონდის“ დირექტორი სოს საპაკიანი და სხვები.

საქართველოს სომხეთა კარექის წინამძღვრის, მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის თავმჯდომარეობითა და სასულიერო დასის მონაწილეობით, პოვანეს თუმანიანის საფლავთან შესრულდა პანაშვიდის წესი და ყვაველებით შეიმკო დიდი სომხების საფლავები. ამის შემდეგ ცხონებული პოეტის, ანაჭიტ ბოსტანჯიანის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მისმა ეკლესიერების წინამძღვრის ბინაში დიდი სომხების სახლი“ ცენტრის, თბილისის პეტროს ადამიანის სახელის სომხერი პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთებას და „ლირვა ძორ“ თანამემამულეთა კავშირს. მეუფე ვაზგენმა ისაუბრა საიუბილეო ღონისძიებებში შეტანილი წვლილისათვის სამასხვირო მედლებზე და მან პირველი სამასხვირო მედალი სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, პოვანეს თუმანიანის სადღესასწაულო სახელმწიფო გადამდებარებული ტრადიციის თანახმად, მისმა ეკლესიერების წინამძღვრის ნიგნის ჩუქების ცერემონია გამართეს.

პოვანეს თუმანიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაგრძელდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთების დიდ დარბაზში. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, მოძმე ეკლესიერების წინამძღვრის ბინაში და სომხეთის სომხეთის სატავთან შესრულდა პანაშვიდის წესი და ყვაველებით შეიმკო დიდი სომხების საფლავები. ამის შემდეგ ცხონებული პოეტის, ანაჭიტ ბოსტანჯიანის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მისმა ეკლესიერების წინამძღვრის ბინაში დიდი სომხების სახლი“ ცენტრის, თბილისის პეტროს ადამიანის სახელის სომხერი პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთებას და „ლირვა ძორ“ თანამემამულეთა კავშირს. მეუფე ვაზგენმა ისაუბრა საიუბილეო ღონისძიებებში შეტანილი წვლილისათვის სამასხვირო მედლებზე და მან პირველი სამასხვირო მედალი სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, პოვანეს თუმანიანის სადღესასწაულო სახელმწიფო გადამდებარებული ტრადიციის თანახმად, მისმა ეკლესიერების წინამძღვრის ნიგნის ჩუქების ცერემონია გამართეს.

და დაწყო საიუბილეო ლიტერატურულ-მხატვრული ღონისძიება „პოვანეს თუმანიანის სახლი“ ცენტრის ხელმძღვანელი გისანე პოვანების გამოსახული და საქართველოს სომხეთა კარექიში მოთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

ეპარქიის კულტურის განყოფილების დირექტორი სურენ აბრამიანი.

სომხერ-ქართული მეგობრობის დიდი აპოლოგეტის, პოვანეს თუმანიანის დაბადების 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, არმენ სარქისიანის მილოცვის წერილი დამსწრეებს სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, რუბენ სადღიანმა ნარულდება. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კონსტიტუციური დამსწრეებს საქართველოში, რუბენ სადღიანმა ნარულდება. ხაზი კაცი იყო-ფერითაც და ბუნებითაც. მინაში მაცერალი და კომშის ტანივით დაგრეხილი. სახეზე შეხედავდი და კაცი იფიქრებდი გველი უზისო უბეში.

ნახირიდან მობრუნებული, როგორც საქონლისთვის იმეტებდა სახრეს ისე ცოლისთვის და შვილებისთვის.

უმწეო ბრაზით გატენილი ბიჭი, ამ დროს თავლაში გარბოდა ცხენთან. თავლაში თბილობდა ცხენის ამონასუნთქის და ახალი, თბილი ხუშის გამო. არც ყურებზე ხელის აფარება სჭირდებოდა, სახლიდან გამოსული ყვირილი რომ არ გაეგო. მას ამ ყვირილზე ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვილაც თავში დიდ ჩაქრებს სცემდა და ლოდსაც ადგებდა გულზე.

ახლა ამ ამბის გახსნებაზეც ისევ უგუბდებოდა შიშით გული...

ცხენი წითელი იყო, შუბლზე თეთრი ვარსკვლავით და ისეთი ჭვივანი, ბავშვი რომ გასძრომოდა ქვეშ, ფეხს არ გაიენევდა.

მოვარიან დამით, როცა სოფელი იძინებდა, ბიჭი ცხენით მთისკენ, კარტოფილის ნათესებში მიდიოდა. ცხენი სიბრულეში ფეხდაფეხს მისდევდა თავის პატარა პატრონს, აღვირზე ხელის მოკიდება არც სჭირდებოდა. აღმართ ხვდებოდა, რომ ახლა დაფრთხობა არაფრთხო არ შეიძლებოდა. ბიჭი უკვე გადათხრილ მინაში მონარჩენ კარტოფილს ეძებდა. ნაპოვნს ჯვალის ტომარაში ყრიდა და სანამ ინათებდა და უცხო თვალი გაიღვიებდა, უკან ბრუნდებოდა სახლში.

ომის დაწყებიდან მესამე წელს მოვიდნენ, კუშტი სახით და უთხრეს, რომ მისი ცხენი სამშობლოს სჭირდებოდა და უნდა ნაეყვანათ.

ბიჭი ვერ მიხვდა მამისა და ძმების შემდეგ, რისთვის დასჭირდა სამშობლოს მისი გაზრდილი ცხენი.

ვერაფერს გახდებოდა; მუჭა ხორბლის გადამალვის გამო წითელ კედლების მინაში მონარჩენ კარტოფილს ეძებდა. ნაპოვნს ჯვალის ტომარაში ყრიდა და სანამ ინათებდა და უცხო თვალი გაიღვიებდა, მაგრამ ეს ცხოვრებაა და ამის გაკეთება აღმართ გიდევ ბევრჯერ მოუწევდა.

ბიჭი დაბარებულ ადგილას თვალამოთხოლი ცხენით და სისხლიანი სახით მივიდა. ყველაფერი ასკილის ბუჩქს და ცხენის დაფრთხობას დაბრალა. ცალთვალა ცხენი ომს აღარ სჭირდებოდა და უკან გამოსატანებას ასახელოს კატორებს- საიუბილეო კომისიას, საქართველოს სომხეთა კარექის „პოვანეს თუმანიანის სახლი“ ცენტრს, თბილისის პეტროს ადამიანის სახელის სომხერი პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთებას და „ლირვა ძორ“ თანამემამულეთა კავშირს. მეუფე ვაზგენმა ისაუბრა საიუბილეო ღონისძიებებში შეტანილი წვლილისათვის სამასხვირო მედლებზე და მან პირველი სამასხვირო მედალი სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, პოვანეს თუმანიანის სადღესასწაულო სახელმწიფო გადამდებარებული ტრადიციის თანახმად, მისმა ეკლესიერების წინამძღვრის ნიგნის ჩუქების ცერემონია გამართეს.

დაუბარეს კიდევ, რომ მეზობელ სოფლადე ცხენი თვითონვე უნდა მიეყვანა. როცა ეს ხალხი წავიდა, დედამისი ატირდა. ბიჭს ახლა ძალიან აღიზიანებდა და გულს უწვრილებდა დედის ჩუმი ტირილი. დედის, რომელიც უყვარდა და ეცოდებოდა და მისი აჯამი ქრის გამო.

ისე, მმობლებმა რომ იცოდნენ როგორი ყველაფეხის მათ შვილებს, ნაკლებს ინუნებდნენ მათთან საკუთარ უბედობაზ.

გაკერპებულმა შეიტანა თავლაში ავშარა და უნაგირი. ცხენისკენ არც გაუხედავს ვერ ბედავდა თითქოს. ყრუდ გამოხურა კარი

